ჯ. სტალინი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 18 (298) გამოცემის მე-16 წელი

● 1972 წლის 22 სექტემბერი

სამშობლოს ხიდი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბივი დიმიტრის ძე ჯავახიშვილი დააჯილდოვა ლენინის ორდენით.

ქმობის საფუძვლები

საბჭოთა კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად დღევანდელი ნომრის გამოშვებასთან დაკავშირებით, რომელიც ეძღვნება რუსი და ქართველი ხალხების ძმობას, „სამშობლოს“ რედაქციამ რამდენიმე კითხვით მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბივი ჯავახიშვილს, რომელმაც პატივი დასდო გაზეთს და შეკითხვებზე გვიპასუხა. გაზეთის სარედაქციო კოლეგიისა და მკითხველის სახელით მოკრძალებულ მადლობას ვუხდით საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და ვაქვეყნებთ ამ კითხვებსა და პასუხებს.

● **კითხვები და თვით საკითხიც რამდენადაც ჩვენი გაზეთისეულია, იმდენად სახელმწიფოებრივიც არის, ამიტომ მოგმართავთ თქვენ, როგორც ქართველ სახელმწიფო მოღვაწეს, რომლისთვისაც სჯობდეს წარსული, აწმყო და მომავალი ისევე ძვირფასია, როგორც ყველა სასიქადულო მამულიშვილისათვის.**

თქვენი შესავალი თავისთავად მეტყველებს იმას, რომ როგორც თემა, ისე ცალკეული საკითხები, რომლებიც ამ თემის ირგვლივ იქნება დასმული, სპეციფიკურია და უმალ ქართველი და რუსი ხალხების ისტორიულ წარსულს შეეხება. სამშობლოს წარსულის ცოდნა ერის სამსახურში მყოფი ყველა მამულიშვილის ვალია — შეეცდები გიპასუხოთ.

● **როდის დაიწყო საქართველოს დაახლოება რუსეთთან, ვისი ინიციატივით და რა ედო საფუძვლად ამ დაახლოებას?**

საქართველოს რუსეთთან პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა ერთ-ერთი საინტერესო საკითხია როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა, ისე ქართველი ერის ისტორიის გასაგებად, აწმყოს შესაფასებლად და მომავლის განსაჭვრეტად. პირველი ისტორიული ნაბიჯი, რომელიც ქართველებმა გადადგეს ერთმორწმუნე რუსეთთან დასაახლოებლად, და რასაც უთუოდ საფუძვლად ედო პოლიტიკური მოსაზრებანი, — უპირველესად საქართველოს კეთილდღეობაზე ზრუნვა, — განხორციელდა ჯერ კიდევ თამარის ეპოქაში.

თათარ-მონღოლთა შემოსევებმა და ამის შედეგად საქართველოს პოლიტიკურმა, ეკონომიურმა დაცემამ რამდენადმე შეაჩერა დაახლოების ეს პროცესი, მაგრამ რუსეთისაკენ საქართველოს იმდროინდელ მმართველთა გამუდმებული სწრაფვა ქართველი ერის აღორძინების ერთერთ უმთავრეს საშუალებად მიაჩნდათ ჩვენი წარსულის უპირველეს ერისკაცთ.

საქართველოსთვის ღირსეული მოკავშირის გამოსანახად ჩვენი წინაპრების გამუდმებულ ზრუნვას მოჰყვა 1585 წელს მოსკოვის ხელმწიფის მიერ კახეთის მეფის ალექსანდრესადმი გამოგზავნილი წინადადება კავშირისა და მფარველობის შესახებ. 1587 წელს კახთა მეფემ მოსკოვის ხელმწიფის თეკლორეს ერთგულების ფიცი მიიღო, რუსეთის მეფემ კი მას 1589 წელს წყალობის სიგელი გამოუგზავნა, რაც რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის პირველი წერილობითი აქციაა და ქართველი ხალხისთვის ერთმორწმუნე მეგობრის გაჩენის პირველი საბუთი.

● **როდის აღმოუჩინა რუსეთმა პირველი რეალური დახმარება საქართველოს?**

თათარ-მონღოლთა შემოსევების შემდეგ დაძაბუნებული საქართველო თურქეთმა და ირანმა ვასალურ მდგომარეობაში მოიქციეს, ამიტომაც საქართველოს მმართველები კვლავ რუსეთს გასცქეროდნენ იმედის თვალით. რუსეთის სახელმწიფო კი, რომელიც თვითონაც არ იყო მომძლავრებული, იძულებული იყო თურქეთისა და ირანისათვის ანგარიში გაეწია: 1774 წლის 10 ივლისს ჭუჩუკ-კაინარჯში რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომლის 23-ე მუხლი შეეხებოდა საქართველოს — რუსეთის მთავრობა სცნობდა ოსმალეთის უფლებას საქართველოში, ოღონდ იმ პირობით, რომ ოსმალეთი ხელს აიღებდა იმერეთის დახარკვაზე. საქართველოში რუსთა მიერ თურქთა მადის შეზღუდვა თავისთავად ნიშნავდა იმას, რომ რუსეთი ოფიციალურად პირველად გამოდიოდა საქართველოს ინტერესების დამცველად.

● **რამ განაპირობა საქართველოს რუსეთთან გაერთიანება?**

საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და სტრატეგიული გარემოცვა ისტორიულად ყოველთვის ართულებდა მის ბედმბრძობას. მაღალი კულტურის, ნიჭიერი და მტრებთან მარადჟამს შეურიგებელი ერი განუწყვეტელი ომების შედეგად რიცხობრივად საუკუნიდან საუკუნემდე შემაძრწუნებლად მცირდებოდა. მოწინააღმდეგეთა სამყაროში მოქცეული საქართველო აღორძინებისათვის გადატანილი ომებით კიდევ უფრო ზარალდებოდა რიცხობრივად, ხოლო მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში სახელმწიფოებრიობის აღსადგენად ჩატარებული ენერგიული და ისტორიულად აუცილებელი აქციების შედეგად საქართველოს მკვიდრთა რაოდენობა ლამის კატასტროფამდე მივიდა. ისიც გასაგები იყო, რომ ერეკლე II-ის, ამ შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსისა და დიდებული სახლდის, სამხედრო და პოლიტიკური წარმატებები — ქართლისა და კახეთის გაერთიანება, იმერეთისთვის დახმარების აღმოჩენა და კულტურულ-ეკონომიური პროგრესული ძვრები, — მისი მოძალდე მეზობლების შეშფოთებას იწვევდა. შეშფოთებას სათანადო დიპლომატიური და სანხედრო მოქმედება მოსდევდა, ეს კი საბოლოო ჯამში ქართველ ერს ფიზიკური მოსპობით ემუქრებოდა; 1770 წელს ჩატარებული აღწერით ქართლსა და კახეთში აღმოჩნდა 65 ათასი კომლი, ხოლო 1795 წელს კომლთა რიცხვი 35 ათასამდე დავიდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ კომლთა რაოდენობისა და თვით კომლის შემადგენლობის შემცირება ხდებოდა ახალგაზრდობის ხარჯზე, ადვილად წარმოვიდგენთ ერის ძძიმე მდგომარეობას მისი ფიზიკური არსებობის თვალსაზრისით. ამიტომაც, ეჭვგარეშეა, გამართლებული და ისტორიული აუცილებლობიდან გამომდინარე ნაბიჯი იყო ერეკლეს მიერ 1783 წლის 24 იელისს გეორგიევსკში დადებული ხელშეკრულება საქართველოზე ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობის შესახებ.

● **ზოგიერთი თანამემამულე თვლიდა და ზოგი დღესაც თვლის, რომ ეს ხელშეკრულება არ იყო პროგრესული მოვლენა.**

ვინც ერეკლეს ამ ნაბიჯს არ ეთანხმებოდა და ზოგ-



ზოგი, შესაძლოა, დღესაც არ ეთანხმება, ვისაც ისტორიული და იქიდან გამომდინარე პოლიტიკური ვითარების გაანალიზება ვერ ძალუძს, ან საგანგებოდ არ სურს, ის იმდენ მამულიშვილურ ყურადღებას მაინც უნდა იჩენდეს, რომ პოლიტიკაში არ ერეოდეს. საკუთარ ემოციებზე აგებული პოლიტიკით შორს ვერაფერ წასულა და ვერც წავა, ერის საქმეს ავნებს. ჩვენი ხალხის ისტორიამ არაერთხელ დაამტკიცა ეს ჭეშმარიტებად ქცეული დებულება...

ტახტზე ალექსანდრე I-ის ასვლის შემდეგ რუსეთის სახელმწიფო საბჭომ ხელმეორედ განიხილა საქართველოს საკითხი და 1801 წლის 12 სექტემბერს გამოქვეყნდა მანიფესტი, რომლის მიხედვითაც რომანოვების დინასტიამ ქართლ-კახეთის შეზღუდული ავტონომიაც უარყო და იგი თავის პროვინციად გადააქცია.

ეს აქტი, რასაკვირველია, აშკარად მეტყველებს რომანოვთა დინასტიის იმპერიალისტურ სულისკვეთებას, რასაც ბევრი ველიკორუსული აქციაც მოჰყვა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჯამში საქართველომ მაინც მოიგო, ქართველი ერის დაღმა წასული საქმე რუსეთთან შეერთების შემდეგ ალმა წავიდა, რის დამამტკიცებლად მრავალი მოსაზრება არსებობს; ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, ვიტყვი რამდენიმეს:

პირველი — 1801 წლიდან საქართველოს ტერიტორია აღარ გამხდარა აგრესიულად მოძალებული მისი ზოგ-ზოგი მეზობლის სათარეშო მოედნად, აღარ გადაუბუგავთ ქართველთა სახლ-კარი, აღარ აუყრიათ და სამშობლოდან დედაბუდიანად აღარ გადაუსახლებიათ ქართველები, უცხოეთის ბაზრებზე აღარ შეჰბრიათ ქართველი გოგო-ბიჭებით, აღარ შებღალულა ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობა. ერის ფიზიკური გადაშენების საშიშროება მოისპო.

მეორე — დასაბამი დაედო საქართველოში სისტემატიური განათლებისა და კულტურის აღორძინების საქმეს. რუსეთიდან საქართველოშიც შებოვიდა მე-19 საუკუნის ცივილიზაცია. აღორძინდა ქართული თეატრი, დაარსდა პრესა, მომძლავრდა განათლება, იძალა წიგნმა. რუსეთის კულტურის ნაყოფიერ ნიადაგზე აღგვეზარდა მე-19 საუკუნის ბრწყინვალე ინტელიგენცია — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მრავალი სხვათა მეთაურობით.

რუსეთისავე მეცნიერულ-კულტურულმა ცენტრებმა ქერის უშუალო ზემოქმედებით აღიზარდა ქართული ინტელიგენციის ის ბრწყინვალე თაობა იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, ივანე ჯავახიშვილის, ანტონი რაზმაძის, პეტრე მელიქიშვილისა და სხვათა წინააძღოლობით, რომელთაც გაანაპირობეს ქართული პედაგოგიური და მეცნიერების უპირველესი ცენტრის — თბილისის უნივერსიტეტის დაარსება, ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის დღევანდელი აღზევებისათვის ნიადაგის მომზადება.

მესამე — ამიერკავკასია მთლიანად, კერძოდ კი საქართველო, ინტენსიურად შედიოდა ეკონომიური განვითარების საერთო კალაპოტში, რომელშიც საკმაო რეფორმების შემდეგ საწარმოო ძალები უფრო წარმატებით ვითარდებოდა, იზრდებოდა მსხვილი სამანქანო მრეწველობა, შენდებოდა რკინიგზების განშტოებული ქსელი, სოფლის მეურნეობაში აღწევდა კაპიტალური ურთიერთობა და ისიც სულ უფრო და უფრო ღრმავდა სავაჭრო-სამეწარმო წასიათს ყოველივე ამის უშუალო გავლენით ადმავლობის გზას დაადგა ქართული სამრეწველო საქმე, საქართველოში შემოღწია ტექნიკურმა პროგრესმა, გაყვანილ იქნა რკინიგზა, დაარსდა ფოსტა-ტელეგრაფი, გაფართოვდა სამთამადნო მრეწველობა. კაპიტალიზმის საწყისების შემოჭრასთან მოჰყვა ქართული მეშათა კლასის დაბადება, რამაც განაპირობა დროშოქმული ფეოდალური ურთიერთობის დაშხობა — დასაბამი დაედო სოციალურ-ეკონომიურ წინსვლას.

მეოთხე — რუსეთის მოწინავე ინტელიგენციისა და რევოლუციონერების გავლენით საქართველოში დაიბადა, აღიზარდა და მომძლავრდა რევოლუციური აზრი, ამ აზრისათვის მებრძოლთა ბრწყინვალე თაობა, რომელთაც უზრუნველყვეს ჩვენში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეათა გავრცელება, განვითარება და შემდგომში მათი გამარჯვება.

ქართველი ერის აღმასვლასთან დაკავშირებით ნრაველ გამონათქვამიდან მინდა მოვიყვანო მე-19 საუკუნის ქართველი ერის პირველი შვილის — დიდი ილიას სიტყვები: „რა საჭირო დამალვა, ჩვენ ყოველობლად გვიყვარს ჩვენი სამშობლო, ხოლო არც საჭიროა სიყალბე: მარტო მით, რომ ჩვენ ჩვენი სამშობლო გვიყვარს, გვიყვარს რუსეთიცა. ეს ისეთი ბუნებრივია, ისეთი ჯანსაღია, ისეთი ადვილად გასაგებია საგანთა არსებობის მიხედვით. რუსეთმა დაიხსნა ჩვენი ქვეყანა წახდენისა და განადგურებისაგან, იგი დღესაც იფარავს მას ყოფილ წამებისა და ტანჯვის გამოურებისაგან, მან გაუკურნა ჩვენ სამშობლოს მისი წყლულნი.“. არა გვგონია, რომ აღმოჩნდეს თუნდ ერთი ნამუსლიშველი, რომელსაც ეჭვი შეეპაროს დიდი ილიას სისპეტაკეში და იმაში, რომ ყოველი მისი სიტყვა და საქმე მართლდენ ერის კეთილდღეობათ იყო ნაკარნახევი.

● **რა მისცა საქართველოს და ქართველ ხალხს საბჭოთა ხელისუფლებამ და როგორია მისი სტატუტი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში?**

ეს საუბრის ცალკე და დიდი თემაა, ამაზე ბევრი რამ ითქვა და დაიწერა მარშან, როცა საბჭოთა საქართველოს ორმოცდაათი წლისთავი ვიზეიმეთ და საქვეყნოდ აღვნიშნეთ თუ რაოდენ დიდ წარმატებებს მიაღწია ქართველმა ხალხმა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობის და ხელმძღვანელობის შედეგად. ამ მიმართულებით იღწვის თქვენი გაზეთიც, რამდენადაც ვიცი მკითხველის ყვალობაზე, ამიტომ ბევრი საკითხელიდან ვიტყვი ცოტას.

ისტორიულ გარდუვალობით გაპირობებულმა ოქტომბრის რევოლუციამ თავისუფლება მოუპოვა რომანოვთა იმპერიაში თავმოყრილ ხალხებს, მათ შორის ქართველ ერს, რომელიც საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში დიდი ეროვნული აღმავლობით ხვდება საბჭოთა კავშირის შექმნის სანამდვილეში მიაღწია წარმოუდგენელ აყვავებასა და პროგრესს. მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის დარგში დიდი ხანია ჩამოვიტოვეთ ის მეზობელი ქვეყნები, რომლებიც ოდესღაც ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხს, ჩვენი ეროვნული არსებობის ბედ-იღბალს ათამაშებდნენ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველსავე დღიდან, საბჭოთა მთავრობა დიდ დახმარებას უწევს ქართველ ერს. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

პირველი — ჯერ კიდევ 1921 წელს რუსეთის სამხედრო-დიპლომატიური დახმარება რომ არა, საკითხავია საქართველოს სისხლხორცეული აჭარისა და სამხრეთ რაიონების ბედი როგორ გადაწყდებოდა.

მეორე — ბევრ ჩვენს თანამემამულეს, ალბათ, ახსოვს თუ არა და მამა-პაპათაგან გაუგია, ისტორიიდან იცის, რა სასურსათო მდგომარეობა იყო ოციანი წლების საქართველოში. როგორ შიმშილობდა ქართველი ერი. ბურის პრობლემა ტანჯავდა თვით რუსეთსაც. და აი, იმ მძიმე წლებში, 1921 წლის 7 იელისს, როცა მთელი რუსეთი შიმშილობდა, მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი ლენინი დეპეშას უგზავნის სასურსათო სახალხო კომისარიატის რწმუნებულს როსტოვში: „ვითვალისწინებ რა საქართველოს მძიმე სასურსათო ნდგომარეობას, წინადადება გეძლევათ იელისის განმავლობაში გაგზავნოთ თბილისში, საქართველოს სასურსათო კომისარიატის მახსამართით, 100 ათასი ფუთი ბურო. დეპეშის მიღება და შესრულება დამიდასტურეთ“.

მესამე — ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის წარმო-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ძმობის საფუძვლები

(დასასრული)

უდგენელმა ამაღლებამ, ქართველ მეცნიერთა და კულტურის მოღვაწეთა საკავშირო და მსოფლიო სარბიელზე გასვლამ განაპირობებს ჩვენი ერის ის არნახული პროგრესი, რომლის დასადასტურებლადაც შეეხები ერთ მრავალთაგანს. უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთაგან ზოგ-ზოგმა გონების თვალით გადახედოს ჩვენი საქართველოსოდენა სახელმწიფოს, თუნდაც მოსახლეობის რიცხობრივი თვალსაზრისით. უფრო მრავალრიცხოვან სახელმწიფოებსაც, გაითვალისწინოს მე-20 საუკუნის სხვადასხვა თავისებურება, თუნდაც ატომის იარაღი, გულზე ხელი დაიდოს და გვიპასუხოს — განა საბჭოთა ხალხების, ძმური რუსი ხალხის დახმარების გარეშე, დიდი ეროვნული პროგრესის გარეშე შესძლებდა თბილისი ჩვენი საუკუნის ცივილიზაციის ერთ-ერთი უპირველესი საბნილის — დიდებული მეტროპოლიტენის აშენებას, რასაც მარტოოდენ მგზავრთა გადაყვანის მნიშვნელობა როდი აქვს?

მეოთხე — ენგურზე ჰიდროსადგურის აშენებაზე ჯერ კიდევ ერის სასიქადულო შვილი ნიკო ნიკოლაძე ოცნებობდა. მსოფლიოში უნიკალური ენგურჰესის ასაშენებლად, რომლის სიმძლავრე ორმოცდაათი წლის განმავლობაში საქართველოში აშენებული ჰიდროელექტროსადგურების საერთო სიმძლავრის ნახევარზე მეტია, საბჭოთა კავშირის მთავრობამ საკავშირო ბიუჯეტიდან დამატებით გაიღო 731.000.000 მანეთი. მისი სიმძლავრე იქნება 1.640.000 კვტ. წლიურად გამომუშავებს 5.460.000.000 კვტ. საათ ელექტროენერგიას, რაც ძირითადად მოხმარდება საქართველოს სახალხო მეურნეობას.

მე არ მინდა მოვიყვანო საბჭოთა ძმურ ოჯახში ქართველი ერის მიერ მოპოვებული დიდი წარმატების მამტკიცებელი ციფრები უმაღლესი განათლების, მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მაღალი დონის, კულტურისა და ტექნიკის არნახული აყვავების დასასაბუთებლად. არ შევჩერდები ჩვენი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების იმ დიდ მიღწევებზე, რასაც ჩვენი ეროვნული წარსულის ხელთუპყარი საუნჯე უდევს საფუძვლად და რომელი მიღწევებიც დიდი ხანია გასცდა როგორც საქართველოს, ისე საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს — დიახ, ჩვენმა მეცნიერებამ, ლიტერატურამ, ხელოვნებამ დიდი ხანია გადალახა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სახელმწიფო საზღვარი. ყოველივე ამაზე, როგორც მოგახსენეთ, ბევრჯერ და დამაჯერებლად თქმულა თუნდაც თქვენს გაზეთში.

რაბან ზემოთ ენგურჰესის შესახებ ითქვა, მინდა ორიოდ სიტყვით შევჩერდე საქართველოს ელექტროენერგიით მომარაგების საქმეზე, ელექტროენერგიით, რაც საყოველთაოდ არის აღიარებული ერის ცხოვრების მაღალი დონის უპირველეს ნიშნად — დიდი ლენინი კომუნიზმის გამარჯვებას ელექტროფიკაციის უკავშირებდა.

საქართველოში 1921 წელს ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 4 კვტ. საათი ელექტროენერგია წელიწადში. იმავე ერთ სულ მოსახლეზე, რომელიც ჩვენში დღეს ორჯერ მეტია 1921 წელთან შედარებით, 1970 წელს მოდიოდა 1.904 კვტ. საათი ელექტროენერგია. მაშინ, როცა ირანში ერთ სულ მოსახლეზე იმავე 1970 წელს 236, თურქეთში — 245 კვტ. საათი იყო. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ელექტროენერგიის გამომუშავებაში ჩვენ გავუსწრართ არა მარტო უახლოეს ბუზობლებს, არამედ ევროპის ზოგიერთ ქვეყანასაც. მაგალითად — იმავე 1970 წლის მონაცემებით ერთ სულ მოსახლეზე საბერძნეთი გამოიმუშავებდა 1.057 კვტ. საათს, ესპანეთი — 1671, პორტუგალია — 749. იუგოსლავია — 1.277 კვტ. საათს. 1972 წლის ბოლოს კი, როცა მთელი სიმძლავრით მუშაობში შევა თბილისის უდიდესი თბოელექტროსადგური, საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე გვექნება 2.192 კვტ. საათი ელექტროენერგია, ენგურჰესის სიმძლავრის გარეშე, რომლის მუშაობში შეყვანა გათვალისწინებულია 1975 წლისათვის. ვფიქრობთ, ამ ციფრების კომენტარი ზედმეტია, ისინი თავისთავად მეტყველებენ იმას, თუ რა მისცა ჭართველ ხალხს საბჭოთა კავშირის ძმურ ოჯახში ნახევარსაუკუნოვანმა ცხოვრებამ.

მხედველობაში უნდა მივიღოთ საქართველოს ბიუჯეტიც, რაც ერის მატერიალური და სულიერი ცხოვრების საფუძველია. საქმე ის არის, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი 1972 წელს 1.467.842 ათას მანეთს შეადგენს, რომელთაგან 96 პროცენტი მიმართულია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად. იმ პირობებში, როცა რესპუბლიკის საშემოსავლო და საგასავლო სახსრები ძირითადად საქართველოს ფარგლებში ტრიალებს, რესპუბლიკაში მშენებარე ობიექტებზე საკავშირო ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი ყოველი მილიონი მანეთი ნათლად მეტყველებს იმ სიკეთეზე, რომლითაც ქართველი ერი სარგებლობს საბჭოთა კავშირის სინამდვილეში.

● ვინ მიგაჩნიათ ქართულ-რუსული ურთიერთობის უპირველეს ამაგდარად?

ქართველი და რუსი ხალხის დაახლოების ამაგდარები ბევრი გვყავდა და ბევრი გვყავს, თვით ხალხები არიან უპირველესი ამაგდარები. პიროვნებათა შორის კი ქართველი და რუსი ხალხების საუკუნოდ დაძმობილების საქმეს ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეს მსოფლიო პროლეტარიატის დიდმა ბელადმა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა და მისი საქმის განმგრძობმა იოსებ ბესარიონის ძე სტალინმა.

● ვსარგებლობთ შემთხვევით და გვინდა ჩვენი გაზეთის ტრადიციული შეკითხვით მოგმართოთ. რას უსურვებდით უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს?

სამშობლოს გონივრულ სიყვარულსა და უანგარო სამსახურს, რამეთუ უგონო სიყვარული მტრობაზე უარესია. ნუ გაწყვეტენ სამშობლოსთან კავშირს, შვილები და შვილიშვილები საქართველოს სიყვარულით აღზარდონ ღირსეულ მამულიშვილებად, დრო და დრო ჩამოვიდნენ და ნახონ ხოლმე თუნდაც თბილისი, რომელიც ჭეშმარიტი სახეა ქართველი ერის არნახული წინსვლისა და გამარჯვებებისა, ესოდენ ძვირფასი რომ არის ყველა ღირსეული მამულიშვილისათვის.

რუსეთი ჩემი, მამულეთი ჩემი!

რედაქტორის სვეტი

რათ მიყვარს რუსეთი, მამულეთად რატომ ვაღიარებ ჩემს საქართველოსთან ერთად, განა ორი სამშობლო არსებობს ქვეყანად?! იქნებ არის კიდეც, როცა ისინი ერთნი არიან, განუყოფელნი? სიყვარულს ხომ ყოველთვის აქვს თავისი ამოუხსნელი, ანდა სულაც ნათელი და უჭოჭმანო საფუძველი! ან იქნებ ორივ ერთად, გარკვეულიც და გაურკვეველიც ერთად არის შერწყმული ამ სიყვარულში, როგორადაც ცხოვრებაში ხდება ხოლმე? რას იტყვით, ჩვენო თანამემამულენო, თქვენს წინაპართათვის უცხო მიწაზე დაბადებულო ქართველნო, შეიძლება იყოს ორი სამშობლო — ფაქტიური და სულიერი, თუნდაც?

რათ მიყვარს რუსეთი, რატომ ვუწოდებ იმას მამულეთს?

მომაჯადოებელი, თვალუწვდენელი რუსული ტყე, ადამიანის თვალსა და სულს ერთად რომ ხიბლავს, როგორც ქვეყნიერების მეექვსე ცოცხალი კონტინენტი; დიადი და მოზვირთული დედამდინარეები; ზღაპრული და უკიდეგანო სივრცეები — საბჭოთა ძლევამოსილების საფუძველთა საფუძველი; ზაფხულობით მწვანედ მობიბინე, ზამთრობით თეთრად მოლივლივე, სიდიადით თვალის მომჭრელი ველები, ქვეყნად ყოვლი არსების მოჯადოება რომ ძალუძთ თავიანთი მდორე სუნთქვით; ბაიკალი — წყალთა ჯადოქარი მეუფე.. იქნებ ამად მიყვარს რუსეთი?

ანდა მომხიბლა რუსმა გლეხმა — კეთილმა და ალალმა, შრომისმოყვარემ და პატიოსანმა, დიდსულოვანმა რუსმა გლეხმა, რეპინის სურათებით რომ შემორჩა ჩემს მახსოვრობას; ოქტომბრის რუსეთის ხალხმა გოლიათმა, ჩვენი ერთიანი, განახლებული სამშობლოს მეწინავემ, თავგამოდებით რომ იღებდა მსხვერპლს ხუთწლედების ფრონტებზე მომავალ თაობათა საბედნიეროდ, ფაშისტ ვანდალთაგან მამულეთისა და კაცობრიობის გადასარჩენად, ან იქნებ რუსმა ქალებმა — ქვეყნად ყველაზე გულმისავლებმა, შრომის უბადლო გმირებმა, სიყვარულის დასტაქრებმა, ღირსეულთათვის ტოლუდებელმა ერთგულებმა, დედობისა და თავგანწირული მეგობრობისათვის პატივდებულმა რუსმა ქალებმა — გოლიათმა ხალხმა შემაყვარა ჩემი რუსეთი?..

ან იქნებ მომხიბლა კეკლუცად მოვლილმა რუსთა სოფლებმა — ჩვენი, საბჭოური დოვლათის თავანკარა წყარომ, ძველთა-ძველმა და მარად ჭაბუკმა, მუზეუმად დასახულმა პეტერბურგმა — ლენინგრადმა; მამულეთის პროგრესის გარიჟრაჟმა, ეგზოტიკურმა ნიჟნმა-გორკიმ, ტრამალთა სიამაყემ, გარდასულ დროთა მოთავხებემ ეკატერინოდარმა — კრასნოდარმა; რუსეთის გმირულმა სულმა, მამულეთის ერთგულებამ და საბჭოთა ჯავშნის შეუდრეკლობამ, ჩვენი ძლევამოსილების ფუძეთა-ფუძემ სტალინგრადმა — ვოლგოგრადმა; მარადიულმა მოსკოვმა — ყველა ქვეყნის კაცური კაცის ვეება მშობლიურმა კერამ, ისტორიის დიადმა სუნთქვამ; ქვეყნად ყველაზე კეთილმა მოედანმა — წითელმა; საბჭოთა რწმენამ, შთაგონებამ, სიყვარულმა, თაობათა წარსულმა, ამწყემ და მომავალმა — ძველთა-ძველმა და მარად ჭაბუკმა კრემლმა?!

განა ამათ ჰქმნეს რუსეთისადმი ჩემი სითბო და სიყვარული, დედის კალთიდან რომ გამომყვა როგორც ბალზამი ჩემი ხალხის მარადჟამობის, ძალთა-ძალობის, გამრავლების და ბედნიერების?

დიახ! ამათ ჰქმნეს, ამათ მიჩემეს რუსეთის მიწა, უამათოდ, უყველაფროდ არ ვიქნებოდი მე — საბჭოთა რწმენის, ძმობისა და ერთობის ადამიანი, — ქართველი დედით და ქართველი მამით, ქართულ მიწაზე ფეხადგმული ადამიანი, ჩემი თბილისის ღვიძლთა-ღვიძლი და მტკიცე მკვიდრი. დიახ, ვიცი მე მტკიცედ, საუკუნოდ ვიწამე და მონაგარსაც საშვილიშვილოდ გადავცემ ფიცად, რომ საქართველოს ერთგულება რუსეთისასაც უდრის ნამდვილად, ქართველად ყოფნა, ნამდვილ ქართველად, რუსეთის მამულეთად პატივდებასაც ნიშნავს! და აზრს ამას შვილთაშვილს გადავცემ როგორც ჩემი ერის სამარადჟამო სადღეგრძელოს ფუძეთა-ფუძეს!

იმასაც ვიტყვი, თაობებისათვის გასაგონად ვიტყვი უთუოდ, რომ ამ სიყვარულს ძველთა-ძველი საფუძვლები აქვს, წარსულიდან რომ გადმოგვცეს მამა-პაპათა; მათი ფესვები მარად აცოცხლებს რუსეთისადმი ყველა ქართველის სიყვარულის ხეს, რადგან ყველა გონიერმა თანამემამულემ ჩემმა იცოდა, იცის და ეცოდინება, რომ რუსეთის სიძულვილი საქართველოს სიძულვილს უდრის!...

...ისტორია ამბობს, რომ საქართველომ, რა მიაღწია მე-12 საუკუნის ოქროს ხანას თავისი 12 მილიონი მოსახლით, მერე დაეცა თათარ-მონღოლთა შემოსევებით დაოსებული, დაკარგა ძალა, სახელმწიფოს მმართველი სჯე, მიწის ფართობი და მოსახლე დაღმაბარუნდა დაადგო მწარედ... მეთოთხმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეში სპარსეთმა და თურქეთმა დაინაწილა ჩვენი სამშობლო, აღმოსავლეთ საქართველო — ქართლ-კახეთი, ძველმა სპარსეთმა მიიკერძა დასახარკად, დასავლეთი — იმერეთი, გურია, სამეგრელო, აჭარა, აფხაზეთი — ხელჰყო თურქეთმა.. საქართველოს სახელმწიფო ეტრატზე დარჩა!

მეთვრამეტე საუკუნის კახთა მიწაზე ერეკლე-კახი გამოჩნდა მეფე-მმართველად, ხმლითა და ჭკუით ქართ-კახეთი გააერთა. მაგრამ მის ბრძოლას, მცდელობას და შემართებას, საქართველოს ერთიანობის და ერის კონსოლიდაციის დაუღალავ მისწრაფებას, მოძალებულ მეზობელთა გაბოროტებაც თან მოჰყვა მყისვე, რამაც კიდევ უფრო დააზარალა ჩვენი ერი: თუკი 1770 წლის აღწერით ქართლ-კახეთში 65 ათასამდე კომლი დითვალა, 1795 წელს კომლთა რიცხი 35 ათასამდე დავიდა, სამთავრობად დაქუცმაცებულ დასავლეთში კი ქართველთა ხვედრი კიდევ უფრო მძიმე იყო.

ქართველთა მოდგმის ფიზიკური განადგურებისაგან გადასარჩენად, ისტორიითა და ცხოვრებით დაბრძენებულმა ერეკლე მეფემ 1783 წელს გიორგიევსკში ტრაქტატი დადო და საქართველო ერთმორწმუნე დიდ რუსეთთან გაერთიანდა. თუ არად ჩავთვლით ზოგ-ზოგ ჩვენი თანამემამულის ურწმუნოებას, თვით მათთვისვე სავალალო ახირებას და საგულდაგულოდ არ გავჭიმავთ რომანოვთა საგვარეულოს ვეღიკორუსულ ავადმყოფობას, რამაც ძირს დასცა მათი ტახტი და იმპერიაც, რაიც თანაბრად სისხლს უშრობდა როგორც ქართველებს, ისე რუსებსაც, თუ რეალურად შევაფასებთ ისტორიულად გარდუვალ იმ აქტს, მაშინ უდავო იქნება ის ჭეშმარიტება, რომ ერეკლესეული ამ ბრძნული ნაბიჯით ერთმორწმუნე რუსეთთან გაერთიანებულ ქართველთა მიწაზე 1801 წლიდან დღევანდლამდე ჩვენი სახლკარი აღარავის აუკლია, აღარავის დაურბევია, ჩვენი კერები არ წაურყვნიათ, ჩვენი ბაღლებით აღმოსავლური ბაზრები არ გაუვსიათ და ქართველთა მოდგმას გადაშენების საშიშროება აღარსოდეს დასტეხია თავს. აი ამიტომადაც მიყვარს რუსეთი, ამიტომადაც ვთვლი მამულეთად!

თუ მე-13 საუკუნიდან ქართულ მიწაზე კულტურა და განათლება ძირს ეშვებოდა, მე-17 საუკუნის ბოლოს კი პრიმიტიული განათლებითღა იზრდებოდა თითოროლა თავადიშვილი, მე-19 საუკუნეში რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველ ხალხს საშუალება მიეცა აღორძინების, პროგრესის გზაზე დაეყენებინა თავისი ძველთა-ძველი კულტურა, აღეზარდა „თერგდალეულთა" ბრწყინვალე თაობა, რათა რუსეთის მიწაზე მიღებული კლასიკური განათლებით მადლმოსილი ერის ამაღლებას ჩასდგომოდა სათავეში. დიახ, რუსული მოწინავე კულტურის მადლით, მისი მოწინავე შვილთა გავლენით მე-19 საუკუნე ნაყოფიერი იყო გარდასულ ჟამთა ავბედითობისაგან სულმოთქმული ქართველი ხალხისათვის, რომელმაც სამშობლოს სამარადჟამოდ უძღვნა ილია და აკაკი, იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ნიკოლაძე, ბუმბერაზი ვაჟა და ბარათაშვილი, ივანე ჯავახიშვილი და პეტრე მელიქიშვილი — ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკოსები და ქართული სოციალურ-მეცნიერული აზრის მამამთავრები.

ქართულ მიწაზე ოდითგანვე დადგენილი ხალხთმოყვარეობით გულმართალმა ბელადმა და სულიერმა მამამ ერისამ მე-19 საუკუნეში, საქართველოს წარსულის პირველმა მოქალაქემ, სულმნათმა ილიამ თავის დროზე ბრძანა:

„რა საჭიროა დამალვა: ჩვენ უცილობლად გვიყვარს ჩვენი სამშობლო, ხოლო არც საჭიროა სიყალბე: მარტო მით, რომ ჩვენ ჩვენი სამშობლო გვიყვარს, გვიყვარს რუსეთიცა. ეს ისეთი ბუნებრივია, ისეთი ცხადია, ისეთი ადვილად გასაგებია საგანთა არსების მიხედვითა. რუსეთმა დაიხსნა ჩვენი ქვეყანა წახდენისა და განადგურებისაგან, იგი დღესაც იფარავს მას ყოფილ ჭამებისა და ტანჯვის განმეორებისაგან"..

დიახ, ბრძნულად, კანონმდებლურად, ერის მამისეულად არის ნათქვამი წარსულის, აწმყოსა და მომავლის ქართველთათვის ჯერ კიდევ მაშინ, როცა ნაციონალისტური სული ჯერაც ძალუმად აფორიაქებდა საქართველოს. დიახ, რუსეთმა გვიხსნა დაცემისა და განადგურებისაგან, მრავალჯერ ვუხსნივართ და კვლავაც მრავალჯერ გვიხსნის სამარადჟამოდ გარდასულ ჭამებისაგან. დიახ, იმავე დიდმა ილიამ, იმდროინდელი ქართული პროგრესისა და რევოლუციური აზრის მეუფემ 1899 წელს ბრძანა: „მხოლოდ ამისთანა წიგნებს შეუძლიანთ იმ ჭმინდა და შეურყეველი კავშირის, ძმობისა და სიყვარულის დამჯიდრება სხვადასხვა ერთა შორის, რომელიც სანატრელია ყოველი აწინდელის ქართველისათვის. მაშინ დიდება და უკვდავება პუშკინის დიდებულ სახელს! აღტაცების გრძნობით შორიდან ხელს კუწუდით ჩვენს უფროს ძმებს — რუსეთის ერს.."

აი, სად იღებს სათავეს „უფროსი ძმა", ესოდენ ზუსტად რომ განსაზღვრავს საბჭოთა ხალხების ჭეშმარიტი ძმობის საწყისებს.

რუსეთის სიყვარული რუსული ენის სიყვარულსაც ნიშნავს — მართალი, ლამაზი, სიტყვაკაზმული, მდიდარი ენისა, ესოდენ ახლობელი რომ არის ყველა განათლებული ქართველისათვის. რუსული ენა ის გადამწყვეტი და კეთილშობილური საშუალებაც იყო, ურომლისოდაც ქართველი ხალხი ვერ შესძლებდა მე-19 საუკუნის ბრწყინვალე ინტელიგენციის აღზრდას, საუკუნეების მანძილზე ხელყოფილი ჩვენი კულტურა და მეცნიერება რომ აღედგინა და განამტკიცა, ვერ გავიდოდა ჩვენი ერი რევოლუციის მოწინავე პოზიციებზე, ვერ დაიკავებდა მსოფლიოს ერთა შორის იმ ჭეშმარიტად ღირსეულ ადგილს, დღეს რომ უჭირავს მეგნებულად და შეფერებით. „რუსული სიტყვის" ავტორმა, დიდმა ქართველმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა, რომლის სახელიც განუყრელად საფუძვლად უდევს ყველა დროისა და ჟამის მამულიშვილის ანბანსწავლებას, ჯერაც მე-19 საუკუნეში ბრძანა:

„რუსული ენის ცოდნა დიდი სიკეთეა ყველა კავკასიელისათვის, ვინაიდან აძლევს მათ შესაძლებლობას გახდნენ დიადის სახელმწიფოს სრულუფლებიანი მოქალაქენი, ეზიარენ მდიდარ რუსულ ლიტერატურას და, როგორც საკუთარ სახლში, ისე გრძნობდნენ თავს უზარმაზარ სამშობლოში".

დიახ, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში იაკობ გოგებაშვილმა უწოდა რუსეთს თავისი, ყველა კავკასიელის სამშობლო და განა ჩვენ, დიდი პედაგოგის აღზრდილ შვილთ, საბჭოთა ძმობის სინამდვილეში დაბადებულთ, დავაკაცებულთ დაგვძრახავს ვინმე თუკი რუსეთი ჩვენს მამულეთად ვიწამეთ სამარადჟამოდ, ურომლისოდაც ვერ ვეღირსებოდით წინსვლას და პროგრესს ჩვენი ერისას. დიდ წინაპართა ვასრულებ ანდერძს — და ვიტყვი ყველა თანამემამულის გასაგონად, ყველას საცნობად: როგორც კი კავკასიონის ქედს გადავლახავ, არა დილიენით, როგორადაც ამას წინაპარნი იქმოდნენ, არამედ „ტუთი", უამრავ ნომრებად რომ არის დანიშნული, როგორც ჩვენი დიდი სამშობლოს ბრწყინვალე წინსვლის სამხილი, როგორც კი ცხრა ათასი მეტრის სიმაღლიდან თვალს გადავავლებ რუსული ენის დიად სამშობლოს გულმოდგინედ მოვლილი ველ-მინდვრებით, ტრამალებითა და უკიდეგანო რუსული ტყით, სამშობლოს პუშკინისა, ლერმონტოვისა, ტოლსტოისა, გორკისა, ფადეევისა, შოლოხოვისა, პასტერნაკისა, ტიხონოვისა და ჩემი ძვირფასი კაცური კაცის ლეონიდ ლეონოვისა, რომლის „რუსული ტყეც" სიყვარულით ვუთარგმნე ქართველ მკითხველს, საკმარისია ციურ სიმაღლიდან თვალი გადავავლო რუსეთის სიდიადეს, რომ გულის სითბომ კიდევ უფრო ძალუმად მაგრძნობინოს მისი მამულეთობა, მისი ენის მშობლიურობა, ჩვენი ხალხების ძმობისა და ერთიანობის თავანკარობა, იმ ენიდან რომ მოჩუხჩუხებს.

რუსეთმა იპირველა დიდ ოქტომბერში, რუსეთმა დაამსხვრია რომანოვთა ვეღიკორუსული იმპერია, მოსრა მცირერიცხოვან ერთა ჩაგვრის სათავეები, მტკიცე და სამარადჟამო დასაბამი დაუდო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში გაერთიანებულ ხალხთა თანასწორობას, ძმობას, შრომის პატივისცემას, უძღეველობასა და ბედნიერებას ჩემი ხალხისა!

დიახ, 1945 წლის 9 მაისს დიდი სამამულო ომის ფრონტებზე გაგზავნილ 600.000 საუკეთესო შვილთაგან საქართველომ შინმოუსვლელად აღიარა ყოველი მესამე სისხლ-ხორცი, რომელთ დედები დღემდე ძაძას არ იმორებენ და მთელს დუნიაზე დაეძებენ გამწარებულნი თავის მონაგარს, მაგრამ კარგადაც გვახსოვს, ვიცით, რომ ჩვენი ხალხის წარგზავნილები თავგამოდებით იცავდნენ მოსკოვსა და სტალინგრადს, რადგან იცოდნენ, მტკიცედ სწამდათ, რომ მოსკოვის დაცვა ჩვენი თბილისის დაცვას ნიშნავდა და სტალინგრადში—ჭუთაისის, ბათუმის, გორის, ზუგდიდის, მახარაძის და თელავის, თვით საქართველოს ბედი წყდებოდა!

ნახევარი საუკუნის წინათ ურყევ საბჭოთა ძმურ კავშირში გაერთიანებულმა სოციალისტურმა საქართველომ არნახულ წინსვლას მიაღწია მეურნეობის ყველა დარგში, რასაც საფუძვლად უდევს ქართული მეცნიერების, ლიტერატურის, კულტურის — ეროვნულისა თავის ფორმით და სოციალისტურისა შინაარსით — ჭეშმარიტად დიადი გაფურჩქნა-აყვავება. და ჩვენი ერთიანი ქვეყნის გამარჯვებიდან გამარჯვებამდე ამ დიად წინსვლაში პირველი, გადამწყვეტი და ჭკუიც ნაბიჯი ეკუთვნის საბჭოთა ფლაგმანს, დიდ რუს ხალხს, ჩვენს რუსეთს, ვისაც ვედრებით, ძმურად ვეჯიბრებით, მხარს ვუსწორებთ და ტოლს არ ვუდებთ ყველანი ერთად — დიდი ლენინის პარტიის დროშით წინმავალი თანასწორუფლებიანი საბჭოთა ხალხები!

აი, ამიტომაც არის რუსეთი ჩემი მამულეთი, იყო წინათ, არის დღეს და სამარადჟამოდ იქნება ყოველთვის!

მოსკოვი — საბჭოთა კავშირის დედაქალაქი



სსრკ-ს 50 წლისთავთან დაკავშირებით „სამშობლოს“ რედაქციამ მიმართა მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ვლადიმერ პრომისლოვს თხოვნით დაეწერა ჩვენი გაზეთისათვის წერილი მოსკოვზე, როგორც საბჭოთა კავშირის დედაქალაქზე.

ამხ. ვ. ფ. პრომისლოვმა თავაზიანად აგვისრულა თხოვნა და ჩვენც მადლობით ვაქვეყნებთ მის წერილს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დედაქალაქი მოსკოვი — მშვიდობისა და პროგრესის ფუძე, საბჭოეთის სული და გული, ჩვენი დიადი მრავალეროვნული სახელმწიფოს ხალხთა ძმური მეგობრობის სიმბოლოა. მოსკოვის დროშაზე ოქროს ასოებით სამარადჟამოდ არის ამოჭარგული მსოფლიოს ყველა უბრალო ადამიანისათვის ძვირფასი სიტყვები — ხალხთა თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა და ერთობა.

მოსკოვის ყოველი შრომითი დღე, ყოველი საათი, ყოველი წუთი ერთიანად შევსებულია ადამიანზე, დიდსა და პატარაზე, საბჭოეთის მშრომელებზე ფიქრით და ზრუნვით, რადგან აქ, საბჭოთა დედაქალაქში მუშაობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საბჭოთა მთავრობა; აქ ტარდება პარტიის ყრილობები და ცენტრალური კომიტეტის პლენუმები, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი საზოგადოების განვითარების მაგისტრალურ გზებს, აქ იწვევენ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებს, რომლებზეც ყველა მოძმე რესპუბლიკის წარგზავნილები ერთად წყვეტენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის, ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ხალხების ცხოვრების ამაღლების დიდმნიშვნელოვან საკითხებს.

ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, სადაც უნდა ცხოვრობდეს ის, ახლობელი და ძვირფასია მოსკოვის ფართო გამზირები, მოედნები და მაგისტრალები, მოპირკეთებულ სანაპიროებში მოლივლივე მოსკოვ-მდინარე, არქიტექტურისა და ხელოვნების დიდებული ძეგლები, ახალი საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივ ნაგებობათა ნათელი, მრავალსართულიანი კვარტალები, შესანიშნავი თეატრები და მუზეუმები, „ტრეტიაკოვკა“ და „ლუჟნიკი“, პლანეტის უმშვიდობესი მოედანი — წითელი, ქვეყნიერების უმშვიდობესი სახელმწიფო ცენტრი — კრემლი, ჩვენი წარსულის, აწმყოსა და მომავლის უწმინდესი სავანე— ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მავზოლეუმი. დედამიწაზე მცხოვრები მშვიდობისა და შრომის ადამიანები მგზნებარედ ისმენენ მოსკოვის კურანტებს, მოსკოვური რადიოთი ეთერში აჟღერებულ გულშიჩამწვდომ სიმღერებს სამშობლოზე, სათაყვანებელ მოსკოვზე, საბჭოურ პატრიოტიზმზე, მართალ სიტყვაზე და იმედზე.

დიახ, მოსკოვის მგზნებარე და მარადიული სუნთქვა თანაბრად ძვირფასია რუსისათვის, უკრაინელისათვის, ბელორუსისათვის, თურქმენისათვის, ყირგიზისათვის, ყაზახისათვის, ტაჯიკისათვის, უზბეკისათვის, მოლდაველისათვის, ლატვიელისათვის, ლიტველისათვის, ესტონელისათვის, აზერბაიჯანელისათვის, სომეხისათვის... ძვირფასია იგი რუსეთისა და საქართველოს მეგობრობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე აღზრდილი ყოველი ქართველისათვის. ამ მეგობრობას საფუძვლად უდევს მეფის ცარიზმთან, ინტერვენტებთან და ჰიტლერულ ფაშიზმთან ბრძოლებში რუსეთსა და საქართველოს უკეთეს შვილთა მიერ დაღვრილი წმიდათა-წმიდა სისხლი. იგი სამარადჟამოდ არის შედუღაბებული მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი იდეებით. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებული ხალხები გაერთიანდნენ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში, რომლის ორმოცდაათწლიან იუბილესაც ზეიმით აღვნიშნავთ მომდინარე წელს. საბჭოთა ქვეყნის ძმური ხალხების ამ დიად ლენინურ ერთობაში არის სწორედ თავისკარა სათავე. ჩვენი ბედნიერებისა, მტკიცე გარანტია უძლეველობისა და თაობათა ნათელი მომავლისა.


მოსკოვი ერთ-ერთი ცხოველმყოფელი მაგალითია ხალხთა ლენინური მეგობრობისა. დედაქალაქში ცხოვრობს შვიდ მილიონზე მეტი ადამიანი, **რომლებიც** 140-ზე მეტ **ერსა და ეროვნებას** წარმოადგენენ და **რომელთა** შორისაც ქართველებიც, ბევრნი არიან. მაგრამ ციფრები როდია მთავარი, ძირითადი ღირსება დედაქალაქის შემართებისა მაინც არის ის დიდი მზიდველობის ძალა, რომელიც ყველა მოძმე ერს, მათ შორის საბჭოთა საქართველოსი, სისხლხორცეულად, ყოველდღიურად და ძალუმად აკავშირებს ურთიერთ შორის.

მოსკოველები ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენენ დიდებული ქართული საოპერო და დრამატული თეატრებისადმი, ესტრადისადმი, მოცეკვავეთა კოლექტივებისადმი. დედაქალაქის კინოთეატრების ეკრანებზე წარმატებით უჩვენებენ ქართულ ფილმებს. ათასობით ახალგაზრდა ქართველი სწავლობს მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში და ტექნიკუმებში, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა განოფენაზე ათასობით ადამიანი ეცნობა საქართველოს მშრომელთა დიად წარმატებებს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგებში, ეზიარებიან მათ მდიდარ გამოცდილებებს, სპორტულ თამაშობათა დღეებში მოსკოველი მაყურებელი მხურვალედ უკრავს ტაშს ქართველ ფიზბურთელებს, კალათბურთელებს, ნოჟდავეებსა და სხვა გამოჩენილ სპორტსმენებს. მოსკოველები მოჯადოებულნი არიან საქართველოს თვალწარმტაცი და მაცოცხლებელი კურორტებით, რომელთა ზღაპრული ბუნებით დედაქალაქის ასი ათასობით მკვიდრი სარგებლობს და მოკრძალებული მადლიერების გრძნობით ინახავს მოგონებებს შავი ზღვის წალკოტში გატარებულ საამო დღეებზე, ზვიადი მთების კალთებზე შეფენილ ფიქვნარებითა და მაცოცხლებელი წყაროებით მინიჭებულ თუ დაბრუნებულ ჯანმრთელობაზე.

მოსკოვი სათუთად უვლის ადგილებს, რომლებიც სისხლხორცეულად არიან დაკავშირებული საქართველოს წარსულთან და აწმყოსთან. მოსკოვი მზრუნველობით უვლის ბოლშაია გრუზინსკაიას, მალო გრუზინსკაიას, გრუზინსკი ვალს, შოთა რუსთაველის, ფალიაშვილის, ორჯონიკიძის, ბაგრატიონის ჭუჩებს, მოსკოვის მეტროპოლიტენის ბაგრატიონის სახელობის სადგურს, კინოთეატრ „თბილისს“. დედაქალაქში კაპიტალური შეკეთების პროცესშია სახლი-მემორიალი, რომელშიც ჯერ კიდევ პეტრეს **წინა** პერიოდში ცხოვრობდნენ **ქართველი** სახელოვანი შვილები. დიდი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის 800 წლის საიუბილეო დღეებში ბოლშაია გრუზინსკაიაზე დიანდრო ბალანჩივაძის, რევაზ ლაღიძის, ოთარ თაქთაქიშვილის (რომლის ახალი ოპერის პრემიერა — „სამი სიცოცხლე“ — ხულ რამდენიმე დღის წინათ წარმოადგინა მოსკოვის სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურმა თეატრმა), სულხან ცინცაძის, გიორგი ცაბაძის, სანდრო მირიანაშვილის, მერი დავითაშვილის, ლილი იაშვილის და სხვათა მუსიკას, რომელთა ნიჭიერებამაც დიდი ხანია გადალახეს **ჩვენი** სახელმწიფო საზღვრები.

საგაზეთო წერილში **ძნელია** ჩამოვთვალოთ შრომის**მოყვარე** და ნიჭიერი ქართველი **ხალხის** ყველა წარმატება. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეჭვგარეშეა ამ წარმატებათა თავისებურ დემონსტრაციად გადაიქცევა სსრ კავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი დღეები საქართველოს **საბჭოთა** რესპუბლიკისა, რომლებიც მოსკოვში გაემართება მიმდინარე წლის ნოემბერში.

ამჟამად მოსკოველები, საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხებთან ერთად, დიდის შემოქმედებითი ენერგიით იღწვიან პარტიის XXIV ყრილობის ბიერ დასახულ ამოცანათა განსახორციელებლად, რომელთა შორის დასმულ ამოცანებიდან ერთ-ერთი ითვალისწინებს მოსკოვის სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად გადაქცევას. ამ ამოცანის ძირითადი გზები განსაზღვრულია მოსკოვის განვითარების გენერალური გეგმით, რომელიც 1971 წლის ივნისში მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ. ამ გენერალური გეგმის განხორციელების შედეგად, რაც მიზანდასახულია 20-30 წლით, საბჭოთა კავშირის დედაქალაქში შეიქმნება შრომის, ყოფისა და დასვენების საუკეთესო პირობები. ამ დიადი ამოცანების განხორციელება ყველა საბჭოთა ხალხების საპატიო ამოცანად დასახა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა. მოსკოვის მშრომელები მადლიერების გრძნობით აღიქვამენ იმ დიდ მზრუნველობას და მეცადინეობას, რასაც სოციალისტური რესპუბლიკები, მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკა, იჩენენ მოსკოვის განვითარებისა და რეკონსტრუქციის საქმეში; თავის მხრივ მოსკოველებიც დიდი სიხარულითა და სიყვარულით უზიარებენ ყველა რესპუბლიკას თავიანთ გამოცდილებას, ცოდნასა და დიდ მიღწევათა ნაყოფს.



ამიტომაც არის მოსკოვი საბჭოთა ხალხების გზა-ჯვარედინი. ჩვენი ძმობისა და ერთობის თავანკარა საწყისი, რომელიც იყო, არის და სამარადჟამოდ იქნება საბჭოთა ხალხების ბედნიერებისა და უძლეველობის საფუძველთა-საფუძველი, დიდი ლენინის დროშის **ქვეშ** დარაზმული თანასწორუფლებიანი ხალხების გული და სული, ხალხებისა, რომლებიც შემოქმედებითი შრომით აშენებენ თავიანთი დიადი ქვეყნის ნათელ მომავალს.

ვლადიმერ პრომისლოვი,
მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

მეგობრობის მკათათვე

გიორგი მარგველაშვილი

...და განა შეიძლება კიდევ სადმე უფრო ძლიერად შეიგრძნო და განიცადო ღრმა, ჭეშმარიტი, ძველთაგანვე ქებული მეგობრობა, თუ არ მზიურ საქართველოს მთებსა და ველებში...

ნიკოლოზ ტიხონოვი

საქართველო დასაბამიდან უცხო ქვეყნებთან მეგობრულ ურთიერთობაზე ამყარებდა კეთილდღეობის იმედს. უმაღლესი ძლიერების ჟამსაც კი, თუნდაც XI-XIII საუკუნეთა შუალედში, აბჯარასხმული მხოლოდ შემოსეული მტრის წინააღმდეგ თუ აღმდგარა. ამიტომ არამც თუ არ იყო შემთხვევითი, არამედ თვით საქართველოს ისტორიული სინამდვილიდან და სულისკვეთებიდან გამომდინარეობდა ის უნიკალური ქადაგება მეგობრობისა და სიყვარულისა, სხვადასხვა ხალხის შვილთა შორის ძმური კავშირისა, რომელიც გაისმა „ვეფხისტყაოსანში“ ვით ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, რაც მაშინდელ მსოფლიოში სწორედ რენესანსის განთიადის მოახლოებას მოასწავებდა.

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის
თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად“.

საერთაშორისო ძმობისა და ხალხთა ერთობის ეს დიადი ანდერძი ქართული კლასიკური პოეზიის უკანასკნელმა ბუმბერაზებმა — ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ — გადასცეს ქართველ მგოსანთა ახალ თაობებს, რომელთა ცხოვრებასა და შემოქმედებას უკვე ახალმა, სოციალისტურმა ეპოქამ მოჰფინა ნათელი. მაგრამ ესვეც აშკარაა, რომ სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობა სახასუხო გამომძახილს საჭიროებს, და საქართველოსაც არ აკლდა ესეთი კეთილშობილი თანაზიარნი.

ჩვენი მიზანია — მოკლედ მაინც გავაშუქოთ საკითხი იმ შემოქმედებითი იმპულსებისა და სტიმულების შესახებ, რაც საქართველომ მისცა რუსეთის გულს — მწსმშს, ამ უძველესი და დიდებული ქალაქის პოეტებსა და პოეზიას. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ მოსკოვის რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობას წინ უძღოდა არა ერთი საუკუნე საქართველოსა და კიევის რუსეთს შორის მყარი ურთიერთობისა, რაც ნაძალადევად შეაფერხა მონღოლთა ურდოების შემოსევამ, რომელთა მსხვერპლნი გახდნენ თანაბარ საქართველო და რუსეთი. მხოლოდ მოსკოვის სახელმწიფოს აღზევების ხანაში გაბრწყინდა კვლავ შუქი მეგობრობისა — მეთხუთმეტე საუკუნის მიჯნაზე შეიქმნა რუსეთში შესანიშნავი პოეტური მოთხრობა თამარ მეფეზე ან როგორც მას უწოდებენ — „სიტყვა და მშვენიერი მოთხრობა, ფრიად სახარგებლო, დინარ (თამარ) დედოფლის შესახებ, ივერთა მეფის ასულისა“. მომძლავრებული რუსეთის მეფემ იოვანე მეოთხემ („მრისხანემ“ სახელით ცნობილმა) ყაზანზე ლაშქრობის წინ საგანგებო გასამხნევებელი სიტყვით მიმართა თავის ლაშქარს და ამ მიზნით მოუთხრო მას სწორედ ეს თავგადასავალი თამარ მეფისა! ვ. წ. „ყაზანის მატიანეში“ მთლიანადაა მოყვანილი სწორედ ეს ნაწარმოები, რაც მის პოპულარობასაც მოწმობს და იმ მნიშვნელობაზეც მიგვითითებს, რასაც მაშინდელ მოსკოვის რუსეთში საქართველოს მაგალითს ანიჭებდნენ.

მომდევნო ხანაში ქართულ-რუსული ურთიერთობანი გასაგები მიზეზების გამო უფრო პოლიტიკურ და ეკონომიურ სფეროში ვლინდება, ხოლო იმ დროისათვის, როცა რუსეთის სახელმწიფო ცენტრმა პეტერბურგში გადაინაცვლა, XVIII-XIX საუკუნეთა მანძილზე მოსკოვმა საქართველოსთან შეგობრული და პოეტური პარტნიორობის პირველობაც პეტერბურგს დაუთმო. აქედან მოწვდა უკვე საქართველოს ღონონოსოვისა და ბოგდანოვიჩის, მაიკოვისა და დმიტრიევის, კაპნისტისა და ხერასკოვის, დერჟავინისა და რადიშჩევის სტრიქონები, სადაც საქართველოს თემაც იყო მღელვარებით აღერებული. მეცხრამეტე საუკუნეში ხომ, საქართველოს რუსეთთან სახელმწიფოებრივი გაერთიანების პირობებში, ქართული და რუსული მოწინავე საზოგადოებრიობა მუდამ შეთანხმებულად თუ არა, ყოველთვის ერთხმად უტევდა მეფის თვითმპყრობელობას—ხალხთა კოლონიალური და სოციალური ჩაგვრის ამ ვეება ბურჯს. საქართველო, ისე როგორც მთელი კავკასია, იმჟამადაც გახდა გიგანტური იმპერიის მოწინავე ძალთათვის თავისუფლების სიმბოლო. თბილისში შეჭრნა საქართველოს სიძემ ალექსანდრე გრიბოედოვმა თავისი „ვაი ჭკუისაგან“. ბელინსკის აღიარებით, საქართველო და კავკასია პუშკინისა და ლერმონტოვის, საერთოდ იმდროინდელი რუსული პოეზიის პარნასი გახდა. მისივე სიტყვით „პუშკინის მუზამ კვლავ დალოცა უკვე საუკუნეთა მანძილზე არსებული ნათესაობა რუსეთისა ამ მხარესთან...“

ილია ერენბურგმა ერთ გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „კავკასიისადმი რუსული პოეზიის სიყვარული — თავისუფლების სიყვარული გახლავთ“ და რომ „პუშკინსა და ლერმონტოვისათვის, მაიაკოვსკისა და ტიხონოვისათვის კავკასი გახლდათ არა დეკორაცია, არა პეიზაჟი, არამედ ვაჟკაცობისა და შეურიგებელი შემართების სკოლა“.

...პუშკინი, ლერმონტოვი, მაიაკოვსკი, ტიხონოვი... მათ გვერდით, მხარდამხარ მათთან ან მათ მომდევნოდ (მხოლოდ პოეტებით რომ შემოვიფარგლოთ) კიაფობენ სახელები კიუხელბეკერისა და პოლონსკისა, ბალმონტისა და ანდრეი ბელისა, ახმატოვისა და ესენინისა, მანდელშტამისა და პასტერნაკისა, ლივშიცისა და სპასკისა, ზაბოლოცკისა და ანტოკოლსკისა, მეჟიროვისა და ლუკონინისა, ევტუშენკოსი და ახმადულინაში, ვოზნესენსკისა და იუნა მორიცისა, ნიკოლაევსკაიასი და ციბულევსკისა, ლეონოვიჩისა, პოლეტაევისა და კიდევ არა ერთი უნიჭიერესი რუსი პოეტისა, ვინც საქართველოს დაუკავშირა თავისი სულიერი ცხოვრებისა და შემოქმედების იღუმალი და სანუკვარი სიმი, ხოლო დიდებული თარგმანებით მილიონთათვის ააღდგინა რუსულ ენაზე ათასწლოვანი ქართული მუზა.

მაგრამ მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეთა შორის ამ მხრივ პრინციპული განსხვავება არსებობდა. თუ საქართველო თანაბრად ხიბლავდა ორივე საუკუნის მკვიდრთ — პირველთა მთარგმნელობითი ინტერესები მაინც უპირატესად დასავლეთისაკენ იყო მიმართული. ხოლო მეოცე საუკუნის გარიჟრაჟის რუსულმა პოეზიამ, რომლის აღიარებულ ლიდერებად ბალმონტი, ბრიუსოვი, ანდრეი ბელი და ბლოკი გვევლინებოდნენ, მკვეთრად შემობრუნდა თავისი „პოეტური ჭიგრიტი“ და პირველმა განჭვრიტა აღმოსავლეთის, ევროპისა და აზიის მიჯნის პოეტური სამყარო, კერძოდ, ქართული და სომხური პოეზია; განჭვრიტა და რუსულ ენაზე ააჟღერა პირველად კულტურულ მსოფლიოში ამ პოეზიათა შედევრები. 1915 წელს კონსტანტინე ბალმონტმა თარგმნა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და 1916 წელს დაისტამბა ვალერი ბრიუსოვის აქტიური მონაწილეობით სომხური პოეზიის ანთოლოგია. რევოლუციამდელ რუს პოეტთაგან ბალმონტმა პირველმა გააცხოველა თავის თანამემამულეთა საქართველოსადმი ინტერესი და აღადგინა საუკუნის მიწურულისათვის თითქოს მიჩქმალული პუშკინის — ლერმონტოვის — პოლონსკის ტრადიცია. ესტუმრა საქართველოს, დაუმეგობრდა ქართველ მოღვაწეთ, შეისწავლა ქართული გარემო და კულტურა, ხელი მოჰკიდა რუსთაველის თარგმნას, ხოლო თავის მრავალრიცხოვან ლექციებსა და მოხსენებებში უდიდეს პროპაგანდას უწევდა ჩვენი ქვეყნის კულტურულ და პოეტურ განძეულს...

ბალმონტმა დაამკვიდრა მოსკოვისა და პეტერბურგის საზოგადოების შეგნებაში რუსთაველის პერსონაჟთა სახეები და სახელები, შეიყვანა ისინი თვით რუსულ პოეზიაში, როგორც თანასწორუფლებიანი უზენაესი სიმბოლოები მსოფლიო პოეტური ოლიმპისა. განა შეძლებდა უამისოდ 1916 წელსვე აკმეისტური ესთეტიზმით გატაცებული ოსიპ მანდელშტამი თინათინის სახელის ხსენებას ლექსში, რომელიც მან პეტერბურგელ მზეთუნახავს სალომე ანდრონიკაშვილს უძღვნა აღტაცებითა და მოწიწებით? აქ გაიბა ის პირველი ძაფი, რომელმაც რუსი პოეტი 1920 წელს საქართველოში მოიყვანა ტიციან ტაბიძესთან, პაოლო იაშვილთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან და გიორგი ლეონიძესთან დაამეგობრა, 1921 წელს მათი ლექსების თარგმანები დასტამბინა, ხოლო 1923 წელს ვაჟა-ფშაველას „გოგოთურ და აფშინას“ თარგმანიც შეაქმნევინა. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გაჰყვა ოსიპ მანდელშტამს საქართველოსადმი ლტოლვა, რამაც მას მისდამი მიძღვნილი არაერთი ლექსი დააწერინა და სიკვდილის წინადღესაც კი წარმოუსახა თვალწინ თბილისი, რომელიც მას მარად ერთგული და გამტანი ეგულებოდა — შექსპირის ერთი გულმავიწყი და მოღალატე პერსონაჟის საპირისპიროდ, ფეხსაცმლის გაცვეთაც რომ ვერ მოასწრო, ისე ანაცვალა მეუღლის ხსოვნას ახალი ვნებიანობა („მას ჯერაც ახსოვს ქუსლთა გაცვეთა, ჩემს ფეხსაცმელთა მჭრალი დიდება“-ო).

და რაკი ჩვენ ვახსენეთ ქართული კლასიკისა და თანამედროვე პოეზიის პირველი თარგმანები ჩვენს ეპოქაში, როგორ არ გავიხსენოთ ის გარემოებაც, რომ ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე მაქსიმ გორკის ჰქონდა განზრახული ქართული მწერლობის ალმანახის რუსული გამოცემის წამოწყება, რომ სწორედ მასთან დაამყარეს კავშირი ამ საკითხის გამო ქართველმა მოღვაწეებმა, მიაწოდეს მას მისივე თხოვნით დიდძალი მასალა და საპასუხო წერილიც მიიღეს უკვე კონკრეტული თხოვნით — „გამომიგზავნეთ ვაჟა-ფშაველას სიტყვა-სიტყვითი ბწკარდი თარგმანები, ჩემთანა ახლა ახალგაზრდა მგოსანი, ბალმონტის მოწაფე და მას გადავცემ ვაჟა-ფშაველას ტექსტებს“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველივე წლები — ხალხთა მეგობრობის განმტკიცების პირველი წლებიც გახლდათ. ამ მეგობრობის განმტკიცებაში კი ძვირფასი წვლილი შეიტანა პოეტების თანამეგობრობამ. სწორედ ამას გულისხმობდა სერგეი ესენინი, როცა ქართველ მგოსნებისადმი თავის განთქმულ მიძღვნაში აცხადებდა:

...ამას გრძნეული ნიშანიც მოწმობს.
ძმადნაფიცობით მგოსანი მგოსნობს!

თვითმპყრობელობის ბოროტი ძალა ფეხქვეშ თელავდა სიკეთის ნერგებს და როს ლახვარი ჩაევლებოდა რეგვენს—თავისუფლებამ ფრთები გაშალა.

ერთერთ პირველსავე თავის „ქართულ“ ლექსში ესენინმა ბუნებრივად გაიხსენა და გააცოცხლა საქართველოსადმი მიძღვნილი პუშკინისეული ჰანგი და ჩააქსოვა კიდეც იგი საკუთარ სტრიქონებში:

დასაბამიდან ჩვენი პორანი
ნატრობდა ხილვას უცხო მხარეთა,
მაგრამ ყველაზე მეტად კავკასი
გვასულდგმულებდა და გვხარებდა.
პუშკინმა აქაც ლექსს არ დააკლო
მარად დღენილი სულის სინაზე:
„ნუ იმღერ ჩემთან, ქალო ლამაზო,
ქართულ სიმღერას სევდიან ხმაზე“.

მაიაკოვსკი ხომ მოსკოვს მკვიდრად საქართველოდან მოევლინა. თავის ავტობიოგრაფიაში მან თვითვე გაუსვა ხაზი მის შეგნებაში საქართველოს, რევოლუციის, თავისუფლებისა და პოეზიის ბავშვობიდანვე შერწყმას: „გაისმა სიტყვა „პროკლამაცია“. პროკლამაციები ჩამოჰკიდეს ქართველებმა. ქართველები ჩამოჰკიდეს კაზაკებმა. ჩემი ამხანაგები ქართველები იყვნენ და მე შემძულდა კაზაკები... ჩამოვიდა მოსკოვიდან ჩემი და, ფარულად შემომაჩეჩა რაღაც გრძელი ქაღალდები... ეს იყო რევოლუცია. ეს იყო ლექსად. ლექსები და რევოლუციც როგორღაც გაერთიანდნენ შეგნებაში“. ბუნებრივია, რომ მაიაკოვსკის არ შეეძლო არ ეთამაშა ახლო მომავალში ხალხთა დამონებილების რევოლუციურ პროცესში სრულიად საგანგებო როლი.

და თუ ოქტომბრის რევოლუციის გარიჟრაჟზე ალექსანდრე ბლოკისა და გალაკტიონ ტაბიძის შეხმიანება იყო ამ „გრძნეული ნიშნის“ გამოსხივება, ოციანი წლების დასაწყისში ვლადიმერ მაიაკოვსკისა და პაოლო იაშვილის, ოვანეს თუმანიანისა და იოსებ გრიშაშვილის, ტიციან ტაბიძისა და ანდრეი ბელის, სერგეი ესენინისა და გიორგი ლეონიძის, ოსიპ მანდელშტამისა და ვალერიან გაფრინდაშვილის და მრავალი სხვა საბჭოთა პოეტის სახელი გახდა ამ ძმადნაფიცობის სიმბოლო. 1927 წლის ივნისში ჩაინიშნა ანდრეი ბელიმ თავის დღიურში: „ვამაყობ ამით: აღმოვჩნდი რა თბილისში — ძმად შევეფიცე გამრჯე და შემომქმედ ოჯახს; რუს პოეტს შეძლო ძმურად ჩამომერთვა ხელი ქართველისათვის... ჯანახ მშვენიერი ქვეყანა, რომლისგანაც ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ. და მასწავლიდნენ კიდეც: სერობათა ჟამს, ნეტარ სიმბოლოთა მოხსენიებით: ლერმონტოვი, პუშკინი. მე კი? განა შემეძლო ასეთსავე დონეზე გამეცა პასუხი? ვიჯექ გულმოკლული და ვოცნებობდი მესწავლა ოცდახუთი ენა „სსრკ“-ის, რომ გავცნობოდი ქართველ, უკრაინელ, სომეხ, უზბეკ პოეტებს“.

უკვე ეს სიტყვებიც მოწმობენ, თუ რამდენად მომწიფდა იმ დროისათვის კის მიერ იმ წლებში ნამოღვაწარი წარმოადგენდა „პუშმარიტ საძირკველს იმ დიდებული შენობისა, რომლის აგება გაგრძელდება იქამდე, სანამ ქართული პოეზია იარსებებს.

მოგვიანებით, საქართველოსადმი მიძღვნილ პოეტურ ციკლში „მგზავრის ჩანაწერები“ (1936 წ.) პასტერნაკმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ საქართველომ იგი მოაჯადოვა არა იმდენად თავისი თანდაყოლილი, მართლაც რომ სამოთხის შესადარი სილამაზით, არამედ ხალხის სულიერი თვისებებით, მისი ნიჭიერებითა და შემოქმედებითი შემართებით.

როგორც ცნობილია, ქართული შთაბეჭდილებანი უშუალოდ გამოვლინდნენ ბორის პასტერნაკის ისეთ საეტაპო წიგნში როგორიცაა „მეორედ დაბადება“ (თვით სათაურიც საკმაოდ მეტყველია). და აგრეთვე პოეტურ ციკლებში — „მგზავრის ჩანაწერები“ (ანუ „1936 წლის ზაფხული“) და „მხატვარი“ (ანუ „1936 წლის ზამთარი“). ამ შთაბეჭდილებათა ძალა და მნიშვნელობა თავის დროზე კარგად დაახასიათა ნიკოლოზ ტიხონოვმა: „ბორის პასტერნაკისათვის საქართველო შემოქმედებითი შემობრუნების წერტილად გადაიქცა. საქართველომ და ქართულმა პოეზიამ უდიდესი დახმარება გაუწიეს პასტერნაკს. მათ შეამზადეს იგი ახალ შესაძლებლობათა გამოსაყენებლად მის პოეტურ გზაზე, მათ ისეთი მეგობრული მხურვალება შეაგებეს და მეგობრული თანაგრძნობის ისეთი გარემოცვა შეუქმნეს მას, რომ სამუდამოდ, მთელი სიცოცხლის მანძილზე შერჩა და თან სდევდა ბორის პასტერნაკს ეს პირველი წარუშლელი შთაბეჭდილება. ეს იყო პოეტების მფეთქავ გულთა ჭეშმარიტი შესმინება და მან თავისი შედეგიც გამოიღო“.

ოსიპ მანდელშტამმა ანდრეი ბელისადმი მიძღვნილ ლექსში, ამ უკანასკნელის საქართველოსადმი ლტოლვის გამოსახატავად, თქვა, რომ იგი „დირიჟორობდა კავკასიონის მთებსო“. ეს სიტყვები კიდევ უფრო ზედმიწევნით მოერგებოდა ნიკოლოზ ტიხონოვს — საქართველოს სწორუპოვარ მცოდნეს და მოტრფიალეს, რომლის პოეტური მარშრუტები საქართველოში მისსავე სამოგზაურო მარშრუტებს თუ შეედრება. რუს კლასიკოსთა მოხსენიებით და მათს კვალდაკვალ მან ესე განსაზღვრა საკუთარი განცდა საქართველოსი: „ყველა მათგანმა გაიარა ამ დიდი მეგობრობის სამყარო, ყველამ განიცადა ამ ქვეყნის მშვენიერება და მომხიბლაობა, ყველა მოიცვა დაუოკებელმა მღელვარებამ და ყველას შთაებეჭდა სხოვნაში მოულოდნელი აღმოჩენების, პოეტური ჰორიზონტების და გრძნობათა აბობოქრების მომნიჭებელი ურთიერთობა... მე თვით განვიცადე ამ ქვეყნის და ამ ხალხის ცხოვრების წიაღში ჩაღწევისას აღფრთოვანება და



ბათუმის ისტორიული მუზეუმის ახალი ექსპოზიციის გახსნა

ბათუმის ძველი ფოტოგრაფიები

ბათუმის ისტორიული მუზეუმის ფოტოგრაფიული ფონდის ექსპოზიციის გახსნა ქალაქის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა. ეს ექსპოზიცია ბათუმის ისტორიის ერთ-ერთ საინტერესო ეტაპს ასახავს. ფოტოგრაფიული ხელოვნების ადრეული ნიმუშები ბათუმის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს წარმოაჩენს.

ექსპოზიციაში წარმოდგენილია 1880-იანი წლებიდან 1930-იან წლებამდე გადაღებული ფოტოები. ისინი ბათუმის ქუჩებს, ბაზრებს, პორტს, ბულვარებსა და ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებას ასახავს. ბევრი ეს ფოტო პირველად გამოფინეს საზოგადოების წინაშე.

მუზეუმის ფონდში ამ ფოტოების შენახვა დიდი ხანია დაიწყო. ისინი ოჯახური არქივებიდან, ძველი ფოტოსტუდიებიდან და კერძო კოლექციებიდან შეგროვდა. ზოგიერთი ფოტო ისე კარგად არის შენახული, თითქოს ახლახან გადაიღეს.

ექსპოზიციის ორგანიზატორები აღნიშნავენ, რომ ფოტოების ნაწილი ჯერ კიდევ არ არის ატრიბუცირებული. ბევრ ფოტოზე ადამიანები არიან გამოსახული, რომელთა სახელები ამჟამად უცნობია. მუზეუმი ითხოვს მოქალაქეებს, დაეხმარონ ამ ფოტოების ავტორების და მათზე გამოსახული ადამიანების დადგენაში.

ექსპოზიციის გახსნის დღეს მუზეუმში ბევრი ადამიანი მოვიდა. ბევრმა მათგანმა აღმოაჩინა ფოტოებზე საკუთარი ოჯახის წევრები ან ნაცნობები. ეს ფოტოები ნამდვილად ძვირფასი ისტორიული წყაროა ქალაქის წარსულის შესასწავლად.

ექსპოზიცია ღია იქნება ყველასთვის. მუზეუმის ადმინისტრაცია გეგმავს, რომ ფოტოების ნაწილი მალე ალბომის სახით გამოიცემა.

ბათუმის ისტორიული მუზეუმის ფოტოგრაფიული ფონდის

ქართველები მოსკოვში

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნისთანავე დიდი ლენინის ინიციატივით საკავშირო მთავრობასთან დაარსდა მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს მთავრობის მუდმივი წარმომადგენლობა, რომელსაც დაევალა საქართველოს სსრ მთავრობის მუდმივი კავშირის განხორციელება სსრ კავშირის მთავრობასთან, საკავშირო მთავრობის ორგანოებში საქართველოს მთავრობის მიერ დასმული საკითხების გატარება, საქართველოს სსრ ინტერესების წარმოდგენა შესაბამის საკავშირო-რესპუბლიკური და საკავშირო ცენტრალურ ორგანოებში, საქართველოს მთავრობისათვის მოხსენებების წარდგენა ყველა მისთვის საინტერესო საკითხზე, რომელიც საკავშირო ორგანოებში განიხილება, კავშირის დადგენა რესპუბლიკის სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, მეცნიერულ-კვლევითი და შემოქმედებითი ორგანიზაციებისა სათანადო საკავშირო დაწესებულებებთან, მოსკოვში რესპუბლიკის სხვადასხვა სახის გამოფენების, შემოქმედებითი გამოსვლებისა და ქართველი ხალხის წარმატებების დემონსტრაციათა ორგანიზაცია, მოსკოვში მოსწავლე ჩვენს თანამემამულეებზე ყოველდღიური ზრუნვა და საჭიროებისამებრ დახმარების აღმოჩენა.

საქართველოს მთავრობის მუდმივი წარმომადგენლობა დღიდან მისი დაარსებისა მთავრებულია მოსკოვის ცენტრში, ვაროვსკის ქუჩის გვერდით მდებარე დიდებულად ნაგებ სამსართულიან სახლში, ქუჩაზე, რომელიც ადრე მალორუეულად იწოდებოდა, ხოლო 1961 წლიდან ატარებს ჩვენი სახიქადულო მამულიშვილისა და დიდი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის სახელს.

არ არის საქმე, ღონისძიება, ქართველი ხალხის პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეობის რაიმე დემონსტრაცია მოსკოვში, რაც საქართველოს წარმომადგენლობა არ მოთავეობდეს. არ არის ქართველი, რომელიც ჩვენ მოგვმართავდეს და სათანადო დახმარებას არ მიიღებდეს.

„სამშობლოს“ დღევანდელ ნომერში ქვეყნდება მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ვასილ პრომისლოვის წერილი, რომელიც ნათლად მეტყველებს იმ პატივისცემასა და სიყვარულზე, რითაც ქართველები მოსკოვში სარგებლობენ.

საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ბევრი სახიქადულო მამულიშვილი ცხოვრობს და მოღვაწეობს. რომლებიც მოსკოვის სრულუფლებიანი მკვიდრნი და პატრონნი არიან. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, ყველას დასახელებას ვერ შევძლებდით, ვინმეს გამოყოფა კი საგანგებოდ არ გვინდა. ამიტომ მინდა შევჩერდე მოსწავლეებზე, მოსკოვში მცხოვრებ ათი ათასამდე ქართველიდან დაახლოებით 500 სასწავლებლად არის ჩამოსული. წარმომადგენლობა მათ გულმოდგინედ პატრონობს, როგორც ერის ახალგაზრდობის იმ ნაწილს, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს მოსკოვის სასწავლებლები არჩია რაიმე მოსაზრებებით და დროებით მშობლების ყოველდღიური მეთვალყურეობა დაკლდა. ჩვენ ვიცით ყოველი მათგანის ასავალ-დასავალი, წარმატებები თუ წარუმატებლობა. მოსკოვის მიხეილ ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკურ-მათემატიკური ფაკულტეტის მე-4 კურსზე სწავლობს გოგი ხიმშიაშვილი — „პოლიტეკონომია — ფრიადი, გამოანგარიშებათა მეთოდების საფუძვლები — ფრიადი, ფიზიკის სპეცკურსი — ფრიადი, სპეცკურსი—ფრიადი...“ მოსკოვის პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მე-4 კურსზე ფორტეპიანოს სწავლობს ნინო ჰერაქაძე. მის შესახებ მიღებულ ძუნწ, მაგრამ დამახასიათებელ ცნობაში ყველა საგნის გვერდით „ფრიადი“ შეფასებაა აღნიშნული, ხოლო დახასიათებაში წერია: „გადმოყვანილია თბილისის კონსერვატორიიდან 1970 წელს. პერსპექტიული პიანისტია. გამოირჩევა განსაკუთრებული მიზანსწრაფვით. ბევრს და წარმატებითაც გამოდის კონცერტებით“. რუსუდან ხუნწარიაც ფრიადოსანია. „ჩარიცხულია სტუდენტად კონკურსგარეშე მიღებით საქართველოდან. განსაკუთრებით გამოირჩევა მიზანსწრაფულობით და შრომისმოყვარეობით. დიდი რეპერტუარი დასძლია და აღიმაღლა პროფესიული დონე. დისციპლინირებულია, აქტიური, გამოირჩევა ამხანაგობის გრძნობით“. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებული მარინე ხვიტია ფორტეპიანოს კლასით ასპირანტად სწავლობს პროფესორ იაკობ ზაკთან, რომელიც დიდ იმედებს ამყარებს თავის მოწვეულზე. ბარაქალა ჩვენო სასიქადულო გოგონებო და ბიჭებო, ვაშა თქვენს მშობლებს და იმ მაშულს, ვინაც გაგზარდათ და დაგვაუკაცათ! ბევრი, ძალიან ბევრი გვყავს სასიქადულო ახალგაზრდა, მთელი ქართველი ახალგაზრდობა ჩვენი ერის მომავალი.

და ჩვენც უველანი, თბილისში ვიქნებით თუ ქმათა-ქმობის დედაქალაქში — მოსკოვში, უველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ საქართველოს სსრ მარადუამს მოწინავე იყოს მოწინავეთა შორის, ღირსეულად იყოს წარმოდგენილი საბჭოთა კავშირის დედაქალაქში, როგორც საკუთარი მიღწევების საქვეყნო ჩვენებით, ისე ამ მიღწევათა სათანადო უზრუნველუოფით და მხარდაჭერით, საკავშირო მთავრობა ყოველთვის გულისხმიერად იხილავს საქართველოს მთავრობის მიერ დასმულ საკითხებს. ამ გულისხმიერებას საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკა.

ილია ართმელაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან.



სურათზე: საქართველოს წარმომადგენლობის შენობა მოსკოვში.

მაიაკოვსკი მოსკოვსა და საქართველოში



საბჭოთა ქვეყნის სასიქადულო პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომლის დაბადების 80 წლისთავს მომავალი წლის ივლისში აღნიშნავენ ჩვენი მშრომელები და მსოფლიოს მოწინავე ადამიანები, ძმურად იყო დაკავშირებული ქართველ პოეტებთან, ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან, საქართველოსთან. მაიაკოვსკი პირადად იცნობდა კოტე მარჯანიშვილს, ვალერიან გუნიასა და ირაკლი გამრეკელს, პაოლო იაშვილს, სიმონ ჩიქოვანსა და გიორგი ლეონიძეს, ნატო ვაჩნაძესა და ნიკოლოზ შენგელაიას და ბევრ სხვას.

საქართველოში გაატარა მაიაკოვსკიმ თავისი სიცოცხლის პირველი ცამეტი წელი: „როგორც კი დავადგი ფეხი კავკასიას, მყისვე მომაგონდა, რომ ვარ ქართველი“.

მაიაკოვსკი დაიბადა სოფელ ბაღდადში, ქუთაისის მახლობლად. მთის მშფოთვარე მდინარის ხანისწყლის ნაპირზე ქვის კვარცხლბეკზე დგას ხის ძველი სახლი — ქართული ოდა, სადაც ცხოვრობდა პოეტის მამის, მეტყევე ვლადიმერ მაიაკოვსკის ოჯახი. აქ დაირწა პოეტის აკვანი, რასაც პოეტი არასოდეს არ ივიწყებდა, გულში მარად ღვიოდა სურვილი იმისა, რომ რაიმე დაეწერა ბაღდადის შესახებ. ლექსში „საუბარი ფინინსპექტორთან პოეზიაზე“ ნათქვამია, რომ პოეტი მუდამ ვალშია მის წინაშე, რაზეც დაწერა ვერ მოუსწრია, რომ იგი ვალშია აგრეთვე მშობლიური ბაღდადის ცის წინაშე:

ვალში ვარ
თქვენთან,—
დიდ ბროდვეის
ლამპიონიან,
ბაღდადის ცაო,
სივრცეში რომ
არ გაჭედს საზღვარი...

მაიაკოვსკი თავის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში „თვითონ მე“ წერდა ბაღდადის შესახებ: „სამშობლო — სოფელი ბაღდადია, ქუთაისის გუბერნია, საქართველო“. ამ ჩანაწერების ერთ-ერთ თავში პოეტი კვლავ იხსენებს ბაღდადს: „პირველი სახლი, რომელსაც გარკვევით ვიგონებ. ორი სართული. ზედა ჩვენ გვიკუთვნდა. ქვედაში მარანი იყო. წელიწადში ერთხელ — ყურძნით სავსე ურმები. წურავდნენ. მე ვჭამდი. ისინი სვამდნენ. ეს არის უძველესი ქართული ციხის ტერიტორია ბაღდადთან“.

1940 წლის 14 აპრილს გაზეთ „იზვესტიაში“ ცნობილი ქართველი კინო-რეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია წერდა: „მაიაკოვსკი მოგზაურობდა ამერიკაში. ჩიკაგოში გამართულ მის საღამოზე გამოცხადდნენ რეაქციონერები და მოაწყეს რაღაც „კაკების კონცერტის“ მსგავსი რამ. ვლადიმერ ვლადიმერის ძმა ხმამაღლა ქართულად შეუკურთხა მათ. ამ დროს ჭანდარიდან ვიღაცამ სახარულით, ომახიანი ქართულით ჩამოსძახა:

— სადაური ხარ, კაცო?!

— ბაღდადელი ვარ, ბაღდადელი!

— ქართულადვე მიუგო მაიაკოვსკიმ. პოეტი ამაყობდა მშვიერი საქართველოთი...“

სახლში, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა ვალოდიამ, დღეს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელმწიფო მუზეუმია მოწყობილი. დაბა მაიაკოვსკში აღმართულია პოეტის ქანდაკება. მაიაკოვსკი ბავშვობისას აქ დარბოდა ქართველ ბავშვებთან ერთად, თავისი პატარა ხერხით აქ აკეთებდა სის სხვადასხვა სათამაშოებს, აქ ისვენებდა ტახტზე, რომელზედაც ჭრელი ფარდაგი იყო გადაფარებული, კედელზე კი მამისეული ხანჯალი და ვეება ნაბადი ეკიდა.

ვალოდიას ბევრი მეგობარი ჰყავდა, ისინი ხშირად ერთად დადიოდნენ ტყეში სოკოს, მარწყვისა და ჟოლოს საკრეფად. ვალოდიას ყველაზე მეტად თევზაობა უყვარდა. მას პატარა აუზი ჰქონდა ეზოში წყაროსთან, აუზში კი ცოცხალი თევზები ჰყავდა გაშვებული. ბავშვები ხშირად იკრიბებოდნენ ხანისწყლის პირას, ტირიფის ქვეშ, გადაბრუნებულ ვედროს უბრახუნებდნენ და ცეკვას აჩაღებდნენ, ვალოდია კი მათ ცეკვას გატაცებით ადევნებდა თვალს.

ვალოდიას შესახებ მოგვითხრობს სახლის პატრონის კონსტანტინე კუპრეიძის შვილი, ლევანი: „1893 წელს მაიაკოვსკების ოჯახს ვაჟიშვილი ვალოდია შეეძინა. იგი ჩვენი ბინის მომიჯნავე ოთახში იზრდებოდა, წყნარი ბავშვი იყო და, როგორც ჩემმა მშობლებმა მიამბეს, თითქმის არასოდეს არ ჭირვეულობდა. ხშირად გაუგონიათ: როცა ვლადიმერ კონსტანტინეს ძე ვალოდიას აძინებდა, ხმამაღლა დაღიღინებდა მას თავისი ბოხი ხმით: „დაიძინე, პაწაწინავ, ჩემო მშვენიერო“. ალექსანდრა ალექსის ასული ხანდახან ცდილობდა გაეჩერებინა ქმარი: „თუ შეიძლება, ხმამაღლა ნუ დასძახი, თორემ ვაჟკურუებს ბავშვს შენი სიმღერა“. ვლადიმერ კონსტანტინეს ძე ამაზე პასუხობდა: „ნუ სწუხხარ, არ დააკრუებს, მხოლოდ სმენას გაუმჯობესებს და ხმით მე დამემსგავსება“.

ქუთაისის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში ვალოდია მაიაკოვსკი სწავლობდა 1902-1906 წლებში. იგი შევიდა უფროს მოსამზადებელ კლასში, შემდეგ დაამთავრა კიდევ სამი კლასი და გადავიდა მეოთხეში. თავის ავტობიოგრაფიაში მაიაკოვსკის აქვს აღწერილი ეს პერიოდი: „მასწავლიდნენ დედა და ნათესავი ქალები. არითმეტიკა დაუჯერებელ რამედ მიმაჩნდა. იძულებული ვიყავი მეანგარიშა ვალებითა და მსხლებით, რომლებსაც ბიჭებს ვურიგებდი. მე ხომ ყოველთვის მაძლევდნენ, მეც ყოველთვის უანგარიშოდ ვარიგებდი. კავკასიაში უამრავი ხილია. კითხვა სიამოვნებით შევისწავლე... გადავედით ბაღდადიდან ქუთაისში. გამოცდა გიმნაზიაში ჩავაბარე“.

სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მაიაკოვსკის ახსოვდა 1905 წლის პერიოდში საქართველოში გავრცელებული რევოლუციური ლექსები და სიმღერები. განსაკუთრებული სიყვარულით ჭითხულობდა იგი ცნობილ ხალხურ სიმღერას არსენა ჯორჯიაშვილზე, დემონსტრაციის დროს ხმამაღლა კითხულობდა ქართულად ირაოდიონ ევდოშვილის ცნობილ ლექსს „მეგობრებო წინ, წინ გასწით!“, „მაშ უშიშრად შევებრძოლოთ ჩარხუკუღმართ ამ ჩვენს დროსა...“

ლექსში „ვლადიკავკაზი — თბილისი“ მაიაკოვსკი იხსენებს 1905 წლის რევოლუციურ დღეებს საქართველოში.

1906 წლის თებერვალში გარდაიცვალა პოეტის მამა. იმავე წლის ივნისში ვალოდია გავიდა ქუთაისის გიმნაზიიდან, 20 ივლისს კი ვალოდია, დედითა და ორი დით მოსკოვს გაემგზავრნენ. ქუთაისიდან წამოსვლისას მაიაკოვსკები რამდენიმე დღით თბილისში გაჩერდნენ, პირველ ავგისტოს კი უკვე მოსკოვში იყვნენ.

ვალოდია მიიღეს მოსკოვის მეხუთე გიმნაზიის მეოთხე კლასში.

გადიოდა წლები. მაიაკოვსკი სულ უფრო და უფრო იხვეჭდა სახელს. ცნობილი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი ოთხჯერ ჩამოვიდა საქართველოში. მაიაკოვსკი პირველად ესტუმრა თბილისს 1914 წლის მარტში. მასთან ერთად ჩამოვიდნენ რუსი ფუტურისტი პოეტები. იმავე წლის 27 მარტს პოეტი გამოვიდა სახაზინო თეატრში (ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი). საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა პოეტის მისასალმებელმა სიტყვამ, რომელიც მან ქართულად წარმოთქვა. მაიაკოვსკიმ თქვა, რომ თბილისი ერთადერთი ქალაქია, სადაც მას მეგობრულად შეხვდნენ, „სადაც უკვართ ახალი პოეტები და რეიანად იციან სტუმრის მიღება“. იმ დღეებში პოეტები ფუტურისტიორის გზით მამადავითზე ასულან. მაიაკოვსკის ქ1 უთქვამს: „აი, ეს არის აუდიტორია! ამ მთის ესტრადიდან შეიძლება მთელს მსოფლიოს ელაპარაკო! ...გადავწყვიტეთ ძველი ქვეყანა, შენი გადაკეთება“.

რევოლუციის მეზნებარე პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის ყოველ ჩამოსვლაზე თბილისში ეწყობოდა მისი ლიტერატურული საღამოები.

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში მაიაკოვსკი სამჯერ ჩამოსულა: 1924 წლის 29 აგვისტოს, 1926 წლის 26 თებერვალს და 1927 წლის 9 დეკემბერს. შემდეგ მაიაკოვსკი 1929 წლის 26 ივლისს მხოლოდ გაგრაში ჩამოვიდა, სადაც საგანგაშოფხულო კინოთეატრში წაიკითხა ლექცია „ახალი და ძველი“.

1927 წლის 10 დეკემბერს მაიაკოვსკი ესტუმრა თბილისის უნივერსიტეტს. კლუბში მან, სხვა ლექსებთან ერთად, წაიკითხა თავისი „მარცხენა მარში“. ქართველი სტუდენტები ტაშის გრიალით შეხვდნენ რევოლუციის დიდ პოეტს. 1930 წლის 25 მარტს მოსკოვში, კრასნაია პრესნიას რაიონის კომკავშირის სახლში გამოსვლისას, რასაც ამ სჯრიქონების ავტორიც ესწრებოდა, მაიაკოვსკიმ წაიკითხა ეს მარში და გაიხსენა მისი ისტორია: „დამირეკეს გვარდიის ყოფილი ეკიპაჟიდან, მთხოვეს მივსულიყავი მათთან ლექსების წასაკითხად და, აი, ეტლში დავწერე „მარცხენა მარში“.


პოეტი გიორგი ლეონიძე იგონებს: „პირადად მე 1927 წელს გავიცანი მაიაკოვსკი... იგი ქართულად დამელაპარაკა, შემომჩივლა, რომ ქალაქის ქუჩებში ხშირად ისმის დამახინჯებული ქართული სიტყვები, რაღაც რუსულ-ქართული სიტყვების ნარევი. მან გაიმეორა გაგონილი ფრაზა „სლესარს ქალესო წვეული გასაკრასკვადო“, — და დასძინა, რომ სწორედ ჩვენ, ქართველმა პოეტებმა, პირველ ყოვლისა, უნდა ვიბრძოლოთ ენის სიწმინდისათვის“.

ლექსში „ვლადიკავკაზი — თბილისი“ მაიაკოვსკი მთელი ხმით უმღერის ახალ საქართველოს, რომელიც დიად საბჭოთა კავშირის ერთიან ოჯახში აშენებს თავის ბედნიერ აწმყოსა და მომავალს:

ოცი,
და იქნება
მეტი საუკუნეც,
ვათრიე
მჩაგვრელთა ხუნდები,
დღეს კი აქ
დროშები
ფრენს ბოლშევიკური,
სხვა საქართველოში
ვბრუნდები.

ვასილ ლაფერაშვილი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

საქართველოზე ბევრს უწერია...



სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ — სტეფანე შჩიპაჩოვი და გიორგი მდივანი მიესალმებიან იური გაგარინს.

რა არის ქვეყნად უფრო ძვირფასი შობილ მხარეზე, სად დაიბადე, სადაც პირველად იხილე მწვანედ მობიბინე ველ-მინდორი, პირველი თოვლი... სადაც პირველი სიყვარული იგრძენი გულით, სად მამა-პაპას უცხოვრია და თვით ჰაერიც სულ სხვა არის, სრულიად სხვა!

საქართველოზე ბევრს უწერია — სტრაბონით, დიუმათი და პუშკინით დაწუებული და ვლადიმერ მაიაკოვსკითა და ნიკოლოზ ტიხონოვით დამთავრებული, თუნდაც! მეც ვბედავ ჩემსას...

დავიბადე ძველ ბაღდათში, ვიზრდებოდი ქუთაისში. წყამდა — ქუთაისზე ლამაზი ქალაქი, რიონზე უსწრაფესი მდინარე ქვეყნად არ არსებობდა და უოველ დილას გადავრბოდი თეთრ ხიდზე, გიმნაზიას ვესწრაფოდი, პირველ გაკვეთილზე მივიჩქაროდი ქართული გიმნაზიისა, რომელსაც დირექტორობდა ჰეშმარიტად დიდი ქართველი მამულიშვილი იოსებ ოცხელი, შობლიური ენას კი გვასწავლიდა ბრწყინვალე მოქართულე სილოვან ხუნდაძე.

მერე ბაგრატის ტაძრის ნანგრევებზე ავირბენდი, გადმოვხედავდი ჩემს ქუთაისს, რიონის ხეობას, რაჭა-ლეჩხუმის მთებსა და სვანეთის შეუნვარებს შევავლებდი თვალს, ძველ კოლხეთზე ფიქრს ვეძლეოდი... ამიტომაც მიუვარდა ქუთაისის სცენაზე „მედეას“ ხილვა... ჩემს უურთახმენას დღესაც აამებს მახსოვრობით შემორჩენილი სცენის დიდოსტატების ნინო ჩხეიძის, ვალერიან გუნიას, ალექსანდრე იმედაშვილისა და მრავალ სხვათა საამო ხმა...

თბილისს ჭაბუკმა მოვაშურე, უნივერსიტეტში რომ შევედი. არ მეუცხოვა დედაქალაქი, რადგან ვიცოდი ბავშვობიდან მისი წარსული, ნარიყალის ნანგრევები, მეტეხის ტაძარი, სიონი, ის ადგილიც მოვინახულე, სადაც სამას არაგველთ მამულის ერთგულებას თავი შესწირეს, მოვინახულე მეტეხის ციხის გვირაბიც, საიდანაც 1905 წელს სიკვდილმისჯილი რევოლუციონერები უსამართლო მსჯავრს დაუსხლტნენ... ის ადგილიც ვიცოდი, სადაც არსენ ჯორჯიაშვილს სტაცეს ხელი... ვიცოდი სამშობლოს დიდებული შორეული წარსული, უამიანობის საუუნეები და დიადი მომავლის დასაწყისის მოწმეც ვიყავი.

და ჭაბუკს ერთი რამ მაინც მოკვირდა — ვერ წარმომედგინა, როგორ შეეძლო ქართველს უსამშობლოდ ცხოვრება, ან სხვისი ქვეყნის შეყვარება?

...ლამის მთელი ქვეყანა დავიარე... სტატისტიკა არ ვიცი, მაგრამ ადამიანის სულს კარგად უნდა ვიცნობდე. ისე მგონია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში უველა ხალხის შვილნი ცხოვრობენ, ჩემის აზრით, უველაზე მრავალეროვანი სახელმწიფოა, თუმცა მათ უოფასა და ერთობლივ ცხოვრებას ძმობას ვერ დაარქმევს ადამიანი, რადგან ეროვნული ნიშნით დარბევა იქ ჯერაც წესად აქვთ დადებული.

როცა მე დღეს სადაურობას მეკითხებიან, ვამასუხობ ხოლმე, რომ მოსკოვის მკვიდრი ვარ-მეთქი, რადგან თითქმის ორმოცი წელიწადია აქ ვცხოვრობ, ჩემს წუნარ ტრიობრუდნის შესახვევში. იმასაც ვამბობ, რომ სულით ხორცამდე ქართველი ვარ და ქართველობა ჩემთვის არავის არასოდეს უკიუნია — პირიქით, უველამ იცის ჩემი ქართველობა და პატივს სცემს ჩემს მოუსვენარ ხასიათს. მაგრამ მე მოსკოვის სტუმარი კი არა, მისი პატრონი ვარ, ისევე როგორც უველა რუსი მოსკოველი... 1941 წელს ხაბჭოთა ხალხებთან ერთად ვიცავდი მოსკოვს როგორც „პრავდის“ თანამშრომელი — ოფიცერი. მერე დავწერე „მოსკოვის ზეცა“, ხაბჭოეთის მრავალ სცენაზე რომ დაიდგა, „მოსფილმმა“ კი ფილმიც შექმნა. მოსკოვს ვიცავდი და ჩემი ქუთაისი მედგა თვალწინ, ჩემი თბილისი შეხატებოდა, ილიას, აკაკის, ვაუას საფლავებს, ჩემს მშობლიურ საზანოს, ჩემს საქართველოს ვითქვამ.

მრავალ პიესასა და კინოსცენარში ბევრჯერ დავბრუნებივარ მოსკოვის თემას, რუსი ადამიანის ვეება გულს, მის მინდობლობასა და მეგობრობაში ვარგისობას, მოყვარესთან გულწრფელობასა და მტერთან დაუნდობელ მრისხანებას... სიყვარული სიყვარულის წილ! და მეც შემიყვარეს, შემითვისეს, შემისისხლხორცეს როგორც ქართველი, ჩემი ერის სისხლი და ხორცი, მომცეს თავიანთი თეატრების სცენები, კონსტუდიები... და ჭეშმარიტად ბედნიერი ვარ იმით, რომ მოსკოვის სტუმარი კი არა, პატრონი ვარ სრულფასოვანი პატრონი მისი.

...მცირე თეატრი თუ პუშკინის თეატრი, დიდი რუსეთის უამრავი თეატრები და ჩემი თბილისის რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობისა, უველა ჩემი შემოქმედებითი ოჯახია, სადაც თავისუფლად, პატრონულად შევდივარ მუდამ. საქართველოს კინოსტუდიასთან ერთად ჩემია „მოსფილმიც“, სადაც ბევრ ჩემ სცენარს შეუსახამს ხორცი. და მაშინ, როცა სადმე შორეულ ამერიკაში, ურუგვაიში, თუ კუბაზე ჩემს „ახალ დროებას“, „ძია ვანოს“, „ვინ არის დამნაშავე?“, ან „კონსული მოიპარეს“ თამაშობენ თეატრები და იქაური რეცენზეტები რუს დრამატურგად მსახვენ, მე არ მწყინს მათი გაურკვევლობა, რადგან ჩემთან, ჩემს დიად და ძმურ სამშობლოში უველას თავისი სახელი გვქვია და გვერქმევა მარადის, რადგან რუსეთი იმ პროგრესული უურნალისტებისათვის ერთა ძმობისა და ჭეშმარიტი ინტერნაციონალური ერთობის დიადი სამშობლოა.

ბევრი მაქვს საქმე, დასასვენებლად ველარ ვიცლი, თუმცა არასდროს მომსახურია. საღამოობით, როცა გარჯაზე ხელს ავიღებ, კვირაში ერთხელ მაინც ვნახავ ჩვენებს, სასიქადულო მამულიშვილებს, ვეწვევი სტუმრად საქვეყნოდ ცნობილ პროფესორს, საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორს ვიქტორ ჩხიკვაძეს, ან ჩემს კოლეგას ირაკლი ანდრონიკაშვილს, ანდა პროფესორ ელიზბარ მინდელს გავუვლი სახლში — გეოლოგიის საქმის დიდოსტატს, ან სკოლისდროინდელ ჩემს ამხანაგთან შევივლი ნარდის გასაგორებლად — ფილოსოფიის დოქტორთან პროფესორ ილია ფანცხავასთან, არც ხაბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, მოსკოვის ერთ-ერთ საუკეთესო რეუისორს იოსებ თუმანიშვილსა და ძველ რკინიგზელს, სოციალისტური შრომის გმირს გრიგოლ კიკნაძეს ვივიწუებ, ან სულაც ერთად ვიკრიბებით დამსახურებულ უურნალისტთან ირაკლი ჩხიკვიშვილთან, სადაც აუცილებლად შემოგვიერთდება დამსახურებული ინუინერი, ჩვენი მუდმივი წარმომადგენელი მოსკოვში ილია ართმელაძე... განა ძალმიძს უველა ჩვენგანის ჩამოთვლა, მოსკოვში რომ ვცხოვრობთ ისე, როგორც საკუთარ სახლში!

არც საქართველოს ვივიწუებთ, ხშირ-ხშირად მოვინახულებთ ხოლმე, როგორც ცხოვრების თავანკარა საწუისს — სულ ორი საათი და თბილისში ამოვყოფთ თავს. 1966 წელს, რუსთაველის ხაიუბილეო დღეებში ცნობილი რუსი მწერალი ევგენი პოპოვკინი წავიუვანე ორბელიანის ბანაოში. შიგ რომ შევედით, პოპოვკინი შემეკითხა: „ნუთუ მართალია, რომ თქვენი წინაპრები ბანაოში პურ-მარილობდნენ?“ მე მივუგე, რომ ხდებოდა ხოლმე-მეთქი ეგეთი რამ. ჩემი ძმა, ბიძინა, თბილისის მკვიდრი, რომელიც თან გვახლდა, უცებ სადღაც გაუჩინარდა და... როცა ორთავეს რიგ-რიგობით მადლიანად გვზეელავდა ორბელიანელი მეჭიხე ჭიტესა, უცებ ზურნის ხმა შემოგვესმა: ამასობაში კარიც გაიღო და ხონჩაზე დაწუობილი პურ-მარილით ხელდამშვენებულმა ახალგაზრდამ მეზურნეები შემოიუვანა, უკან კი ბიძინა შემოჰყვა ფეხაკრებით... ევგენი პოპოვკინს თავი სამოთხეში ეგონა...

მერედა, განა სამოთხე არ არის დალოცვილი საქართველო, რომელიც უოველი თავისი სისხლხორცეულის სათაყვანებელია, სადაც არ უნდა იყოს და რასაც არ უნდა აკეთებდეს იგი, სამშობლო უოველთვის სამშობლოა, მისი დიდება და ბედნიერება კი უველა ჩვენგანის უპირველესი საზრუნავი და საფიქრალი!

გიორგი მდივანი



სურათზე: ტაისა სავა ნინოს როლში ფილმიდან „მფრინავი მღებავები“, რომლის სცენარიც გიორგი მდივანს ეკუთვნის.

ქართველები რუსულ სცენაზე

ქართულ სანახაობით კულტურას რუსები ძველთაგანვე იცნობდნენ. ქართულ-რუსული თეატრალური ურთიერთობა განსაკუთრებით ინტენსიური გახდა მას შემდეგ, რაც გაძლიერდა დიპლომატიური კავშირი ამ ორ ერთმორწმუნე ერს შორის და ქართველმა ემიგრანტებმა მოსკოვში თავიანთი კოლონია შექმნეს.

რუსეთში დასახლებულმა ქართველებმა შექმნეს თეატრები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ დავით ფანჩულიძის თეატრი სარატოვში და პოლკოვნიკ ხერხეულიძის თეატრი კალუგაში.

XVIII საუკუნის რუს მოღვაწეთა შორის, რომელნიც თეატრთან იყვნენ დაკავშირებულნი, ისტორიკოსები უთუოდ მოიხსენიებენ ქართველებსაც, მათ შორის საკაძეს, დიმიტრი ციციშვილს, მწერალ შალიკაშვილსა და სხვებს.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსნი არიან ცნობილი თეატრალური მოღვაწენი ძმები ზანდუკელი-სანდუნოვები, რომელთაგან სილა (სილოვანი) XVIII საუკუნის გამოჩენილი რუსი მსახიობი იყო, ხოლო ნიკოლოზი— მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, განათლებული იურისტი და ნიჭიერი დრამატურგი.

სილა ზანდუკელი-სანდუნოვი მოღვაწეობდა როგორც მოსკოვის, ისე პეტერბურგის სცენაზე. დიდი სახელი მოიპოვა დემოკრატიულ წრიდან გამოსულ გმირთა სახეების შექმნით.

დიდი სახელი მოიხვეჭა რუსულ დრამატურგიასა და თეატრში სილას ძმამ ნიკოლოზმა, ფრიდრიხ შილერის პიესათა პირველმა მთარგმნელმა და ნაწარმოებთა ავტორმა, რომელთა შორის განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ანტიბატონყმური პიესები „ჯარისკაცის სკოლა“, „რადის შჩეპის უული“.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ სისტემატური გახდა ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობანი. ალექსანდრე გრიბოედოვი, ალექსანდრე პუშკინი, მისხელ ლერმონტოვი, შაქსიმ გორკი და სხვა დიდი რუსი მწერლები ბიოგრაფიულად და შემოქმედებითად მჭიდროდ დაუკავშირდნენ საქართველოს. უძველესი რუსული თეატრის, მოსკოვის მცირე თეატრის სცენაზე დაიდგა ბეკლემიშვილის რომანტიკული დრამა „მაიკო“, რომელშიც თავად ლვოვანის როლს დიდი მზრუნვარებითა და შთაგონებით თამაშობდა რუსული სცენის მშვენება — პაველ მოჩალოვი, დიდებული ტრაგიკოსი, რომელმაც პირველმა შექმნა ქართველი კაცის სახე რუსულ სცენაზე.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში სისტემატურად არსებობდა რუსული თეატრი, საგასტროლოდ ჩამოდიოდნენ მოსკოვის მცირე თეატრის კოლექტივი, სხვა თეატრების გამოჩენილი მსახიობები. 1883 წელს საქართველოს ეწვია დიდი რუსი დრამატურგი ალექსეი ოსტროვსკი.

ქართული სცენის დიდოსტატები მჭიდროდ დაუკავშირდნენ რუსული სცენის კორიფეებს. 1882 წელს მცირე თეატრის სცენაზე შედგა რუსული თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი შესანიშნავი მოღვაწისა და დრამატურგის, ბრწყინვალე აქტიორის ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის დებიუტი. აქედან მოყოლებული ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი სიკვდილამდე მოღვაწეობდა ამ თეატრში, ორ ათეულ წელზე მეტს ხანს იყო მისი უცვლელი ხელმძღვანელი და დირექტორი — რუსული გმირულ-რომანტიკული სამსახიობო სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

ალექსანდრე სუმბათაშვილმა არა მარტო დაწერა თავისი ისტორიული დრამა „ღალატი“, არამედ ყოველმხრივ შეუწყო ხელი მის მცირე თეატრისა და პეტერბურგის ალექსანდრული თეატრის სცენაზე დადგმას. ამით გააცნო ფართო საზოგადოებას საქართველოს გმირული წარსული. ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი — დიდი მსახიობი, დრამატურგი, მთელი რიგი საინტერესო წერილებისა და გამოკვლევების ავტორი, საზოგადო მოღვაწე, ერთ-ერთი იმ მტკიცე ხიდთაგანი იყო, რომელიც საქართველოსა და რუსეთს ერთმანეთთან აკავშირებდა. ალექსანდრე სუმბათაშვილიუჟინმა თითქოს გზა გაუხსნა ქართველ თეატრალურ მოღვაწეთ რუსეთისაკენ. იქ საკმაოდ დიდხანს სხვადასხვა თეატრში წარმატებით მოღვაწეობდა ჩვენი შესანიშნავი ტრაგიკოსი ლადო მესხიშვილი. რუსულ სცენაზე დაიწყო თავისი აქტიური მოღვაწეობა გიორგი არადელ-იშხნელმაც.

საქართველოსათვის რეჟისორული კადრების აღზრდის საქმეში უდიდესი როლი ითამაშა მოსკოვის სამხატვრო თეატრმა. ამ შემოქმედებით კოლექტივში აღიზარდნენ ცნობილი ქართველი რეჟისორები — ალექსანდრე წუწუნავა, მისხელ ქორელი, ვალერიან შალიკაშვილი, აკაკი ფაღავა და სხვანი. სამხატვრო თეატრთან ჩამოაყალიბა თავისი სტუდია და არა ერთი თუ ორი ნიჭიერი მსახიობი აღზარდა რეჟისორმა ვახტანგ მჭედლიშვილმა.

განსაკუთრებით ახლოს იყო რუსულ თეატრალურ ხელოვნებასთან და დიდხანს მოღვაწეობდა რუსეთში დიდი ქართველი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი, რომელიც ჯერ მსახიობობდა პროვინციის სხვადასხვა ქალაქში. შემდეგ დადგა თავისი შესანიშნავი სპექტაკლები ჩეხოვის „ძია ვანო“, ბოლოს კი შექმნა უაღრესად საინტერესო, ნოვატორული „თავისუფალი თეატრი“.

დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხებს შეუქმნა ყველა პირობა ეროვნული კულტურის აყვავება-განვითარებისათვის. რუსულ სცენაზე სისტემატურად იდგმება ქართველ დრამატურგთა საუკეთესო ნაწარმოებები. მრავალი წელია რუსეთში ნაყოფიერად მოღვაწეობს ცნობილი ქართველი დრამატურგი გიორგი მდივანი.

რუსეთის სცენაზე სახელი და პატივისცემა მოიპოვა ცნობილმა მომღერალმა, საოპერო ხელოვნების ოსტატმა ვლადიმერ კანდელაკმა.

რუსეთის საოპერო თეატრების სცენაზე არაერთხელ დაუდგამთ ქართველ კომპოზიტორთა ოპერები და ბალეტები. იქ დიდხანს ბრწყინავდა და დღესაც დიდი პატივისცემით სარგებლობს ცნობილი მოცეკვავე, ბალეტმეისტერი ვახტანგ ჭაბუკიანი.

წლების განმავლობაში მოსკოვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკისა და რუსეთის სხვა ქალაქების საოპერო სცენაზე თავისი ხელოვნებით რუსულ მსმენელებს ხიბლავდნენ სახელგანთქმული ქართველი მომღერლები, რომელთა შორის დიდხანს რუსეთში მოღვაწეობდნენ დიმიტრი მჭედლიძე, დავით გამრეკელი, დავით ბადრიძე, ზურაბ ანჯაფარიძე და მრავალი სხვანი. რუსულ დრამატულ თეატრებში მთელი რიგი დადგმები განახორციელეს რეჟისორებმა იოსებ თუმანიშვილმა, დიმიტრი ალექსიძემ, მისხელ თუმანიშვილმა, გიგა ლორთქიფანიძემ და სხვებმა.

დღეს ქართული თეატრი ფეხდაფეხ მიჰყვება მსოფლიო თეატრალური განვითარების გზებს, ქართული სცენის ოსტატთა სახელები ფართოდ არის ცნობილი მრავალ ქვეყანაში.

საგასტროლო წარმოდგენებმა, ქართული ხელოვნების დეკადებმა მრავალი თაყვანისმცემელი გაუჩინეს ქართული დრამატული ხელოვნების ისეთ დიდოსტატებს, როგორიც უშანგი ჩხეიძეა, შალვა ღამბაშიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, სერგო ზაქარიაძე, ვასო გოძიაშვილი. სესილია თაყაიშვილი, გიორგი შავგულიძე და მრავალი სხვანი იყვნენ და არიან...

რუსული დრამატული და საოპერო თეატრების სცენაზე მოღვაწეობდა და დღესაც ნაყოფიერ შემოქმედებით შრომას ეწევა ბევრი ქართველი ხელოვანი.

ქართული სცენის მოღვაწენი თაობიდან თაობაში მჭიდრო შემოქმედებით კავშირში არიან მოძმე ხალხების და, პირველ რიგში, რუსული თეატრის მოღვაწეებთან, მათთან ერთად ავითარებენ და აღორძავებენ ფორმით ეროვნულსა და შინაარსით სოციალისტურ საბჭოთა თეატრალურ ხელოვნებას.

ჩვენ ყველაზე, რა თქმა უნდა, არ გვქონდა საშუალება შეგრერებულიყავით, მაგრამ ყოველი მათგანი, ვინც გულით დაუკავშირდა თანამედროვე მსოფლიო ხელოვნების ამ ერთ-ერთ უბრწყინვალეს ქანრს, უთუოდ ბედნიერია, მადლიერი ნაყოფიერი შემოქმედებითი ურთიერთობისათვის და როგორც ჯოტე მარჯანიშვილს შეეძლო უთქვა: „გულითადი მადლობა რუსეთს! მან მომცა დიადი ჩაწვდომის უნარი, უნარი ადამიანის სულის კუნჭულებში ჩახედვისა. რუსეთმა მიმაჩვია ჩემი არსების შიგნიდან ცხოვრების განჭვრეტას. მის მზრას ჩემი სულიდან... გულითადი მადლობა მას, ჩემს მეორე სამშობლოს, მადლობა მშვენიერ რუსეთს!“...

ნადია შალუტაშვილი.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის დოცენტი

იცოცხლეთ, ადამიანებო!

ბამბისას? ქალაქი ობნინსკი? არის ქალაქი ობნინსკი, ძალიან აბალგაზრდა, ეურეკის ასაკისელიც კი — აბალგაზრდობა ბულგარეთის, ეთნუზიასტთა ეკუთვნილება, კოსმონავტიკის ეკუთვნილება — ყველა ამაყობს ამ ქალაქით...

ამ აბალგაზრდა ქალაქის კარგა ხანია მოიძვენა ატომური ასაკი — ობნინსკში იქნება ატომური პირველი ატომსადგური, რომელიც ატომბაკალი „ლენინის“ და ევროპის ატომური ენერგიების ცენტრის წიამოიყენებდა გახდა იგივე ქვეყანაში. ასეცნიერო დაწესებულებათა ორის თავისი ჯუნატური დაინიშნულებით გამოირჩევა რადიოაქტიური ხმიერების „მოთვალიერებელი“ — საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის საექიცინო რადიოლოგიის ასეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ინსტიტუტი ფიჭვნარში აუშენებიათ. დაარსების დღიდან, აგერ უკვე ათი წელიწადია, ინსტიტუტს ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გიორგი ზედგენიძე.

ობნინსკში დილით ადრე ჩავედი და ინსტიტუტისკენ გავეშურე, მეჩქარებოდა მეხსიერებაში უდიდესი სამკურნალო დაწესებულება, რომელზედაც მთელ მსოფლიოში დიდი მოწიწებით ლაპარაკობენ...


...თავი უბრალოდ ვიგრძნე, შინაურულად. მიამბობდა მუშაობაზე, ჯოლგებზე, ინსტიტუტზე, რომელიც, თუ შეიძლება ითქვას, საკუთარი ხელებით ააგო და მისი კრთი შეხედვით მშვიდ, თითქოსდა ჩვეულებრივ, უბრალო თხრობაში იმდენი შინაგანი ენება და წვა იგრძნობოდა, რომ ცხადი იყო: მას ფანატიკურად უყვარდა მედიცინა.

...თანამედროვე რადიოლოგიის პროგრესი — გიორგი ზედგენიძე, მსოფლიო სახელის მეცნიერი, ჯანმრთელობის დაცვის სამშვიდობო ატომური ენერგიის გამოყენების მსოფლიო ორგანიზაციისა და საერთაშორისო სააგენტოს ექსპერტი, საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი რადიოლოგი, საკავშირო რენტგენო-რადიოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე, საფრანგეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოებების საპატიო წევრი, უბრალო და დიდი შთაგონების ადამიანი.

გიორგი ზედგინიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა, რიგით ექიმად დაიწყო მუშაობა პირველ ქართულ მსროლელთა პოლკში. მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა. გამოსარდა როგორც მეცნიერი, ორგანიზატორი — ოქტომბრის რევოლუციის ორდენი, წითელი ვარსკვლავისა და შრომის წითელი დროშის ორდენები, საბრძოლო მედლები... მისი სახელმძღვანელოები და სამეცნიერო შრომები თარგმნილია ათობით უცხოური ენაზე, მოვლილი აქვს თითქმის მთელი მსოფლიო, და დღემდე დიდი მოკრძალებითა და სიყვარულით ახსენებს თავის გამოჩენილ მასწავლებელს — იუსტინე ჯანელიძესა და კონსტანტინე ერისთავს, ორმოცი წლის წინათ ჯერ კიდევ უწყვრულო ახალგაზრდა რომ დააწაფეს მედიცინის სიყვარულს.

...მიამბო — როგორ აღიმართა ინსტიტუტის კორპუსები, როგორ მოაწყეს უახლესი აპარატურით, უნიკალური ტექნიკით, როგორ შეკრიბა სამეცნიერო მუშაობისათვის თავდაპირველად 1.500 მაღალკვალიფიციური თანამშრომელი, როგორ ემსახურება ატომური ენერგია ყველაზე მშვიდობიანი პროფესიის ადამიანებს; მესაუბრა რადიაქტიური იზოტოპებითა და ბირთვული გამოსხივების საშუალებით ადამიანთა მკურნალობის ახალ მეთოდებზე, რომელთაც ამუშავებს ინსტიტუტი, ათასობით ექსპერიმენტზე, ერთადერთი მიზანი რომ დაუსახავთ — სწრაფად და უკეთ შეიცნონ ყველაზე საშინელი, ადრე განუკურნებელად მიჩნეული დაავადებანი...

ორი დღე მოჯადოებულივით დავდიოდი ინსტიტუტის უამრავ ლაბორატორიებში. ...არის ინსტიტუტში ერთი ლაბორატორია, სადაც იკვლევენ ადამიანის საერთო რადიოაქტივობას. ყველაფერი, რაც იქ მოვისმინე და ვნახე, იყო ახალი სიტყვა მეცნიერებასა და ტექნიკაში.



მინდა იმ განყოფილებისა და ამ ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი რიჩარდ ვაბუნია გაგაცნოთ, რომელიც ერთი პირველითაგანია იმ რვა მეცნიერს შორის, აქ ჯერ კიდევ მაშინ რომ მოვიდნენ, როცა ირგვლივ გაუვალი ტყე იყო და ინსტიტუტის კორპუსებს მხოლოდ ოცნებით თუ წარმოიდგენდა ადამიანი... თანდათანობით უფრო და უფრო მომწონდა ეს ახალგაზრდა მეცნიერი. როგორც გაზოსამუდავნებელ ფოტოქაღალდზე, ისე თანდათან იკვეთებოდა ამ ადამიანის ნატურის უხილავი ნიშნები. ხასიათი, ქცევა, ჩვევები. და ბოლოს და ბოლოს, ჩემს წინაშე წარსდგა დიდი გატაცების კაცი, ღირსი თავისი მასწავლებლის — გიორგი ზედგენიძისა, ღრმა განათლებისა და დაუღალავი ენერგიის მეცნიერი. მუშაობს ადამიანის სხეულის საერთო რადიაქტივობის გაზომვის — რამდენადაც მნიშვნელოვან, იმდენად რთულ პრობლემაზე. თითქმის ნახევარი წელიწადი ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილ კლინიკებში გაატარა, ლიტერატურის „შთები“ გადასინჯა, ათასობით ცდა დააყენა.

...იგი მომითხრობს: რომ ოცდახუთიათერიოდე წლის წინათ ადამიანის სხეულში პირველად მოხვდა რადიოაქტიური ნივთიერებანი, რამაც უზედური შემთხვევები გამოიწვია. მაშინ მეცნიერები შეეჭიდნენ ადამიანის ორგანიზმში რადიოაქტივობის განსაზღვრის საკითხს. თავდაპირველად ჰეიგერ-მიულერის მრიცხველსა და იონიზაციურ საკანს იყენებდნენ, დღეს სამამულო ტექნიკის სრულყოფილი ხელსაწყოებით სარგებლობენ. ფიზიკის, ტექნიკისა და ელექტრონიკის პროგრესის შედეგად, ქვეყნად გაჩნდა ახალი ხელსაწყოები და გარეგანი გამოსხივებისაგან ადამიანის დასაცავად გამოიყენებენ წყალს, ცარცს, უფრო ხშირად კი „ატომურ ერამდე“, ე. ი. 1945 წლამდე, ჩამოსხმულ ფოლადს. ის მომითხრობს ფოლადის დამცველ საკნებზე, რომელშიც ადამიანს შეუძლია თავისუფლად მოთავსდეს. მიჩვენებს საერთო რადიოაქტივობის გამოსარკვევ უნივერსალურ ავტომატურ დანადგარს, რომელიც მისი და მისი თანამშრომლების შექმნილია, და რომელიც, უცხოური ხელსაწყოთაგან განსხვავებით, ავტომატურად მუშაობს ელექტრო-გამომთვლელი მანქანის დახმარებით.

რიჩარდს თანდათან ატაცებს საკუთარი თხრობა. ყურადღებით ვუსმენ და ვგრძნობ, რომ მეც გადამედო გატაცებას — საინტერესო, საოცარი, ამაღელვებელი...

ელექტრონული მიკროსკოპების ლაბორატორიაში მისმა ხელმძღვანელმა ვიქტორ გოლცევმა და უფროსმა ინჟინერმა არტურ კარლოვმა მიჩვენეს ელექტრული მიკროსკოპი, რომელსაც შეუძლია გადიდება 100.000 გამრავლებული ათჯერ, ესე იგი, გადიდება მილიონჯერ. ჩვეულებრივი ასანთის ღერი ესეთი გადიდების შედეგად შეიძლება ათკილომეტრიან მორად მოგეჩვენოთ. როცა იქ ვიყავი, თანამშრომლები მიკროსკოპში სინჯავდნენ ადამიანის თმის ღერის ერთი მეზუთათასედი ნაწილის ტოლ სხეულს. თავად განსაჯე, მკითხველო, რა გამოკვლევების ჩატარება შეუძლიათ მეცნიერებს, როცა ამგვარ, მიკროსკოპით არიან შეიარაღებულნი! ეს არის უკეთესი და უპირველესი ელექტრონული ლაბორატორია ჩვენს ქვეყანაში, ერთადერთი ლაბორატორია, რომელიც სწავლობს სისხლის შემადგენლობის ცვლას სხივური დაზიანებისას. ერთადერთი ლაბორატორია, სადაც შეუძლიათ გაარკვიონ, რა ცვლილებები ხდება უჯრედებში დასხივებისას.

შემეძლო უსასრულოდ ბევრი მეამბნა ამ ინსტიტუტზე, ბიოფიზიკის ლაბორატორიაზე, სადაც დაკვირვება ხდება დასხივებულ უჯრედებზე, სადაც ცდილობენ ჩაწვდნენ მის გამომწვევ მიზეზს ბოლომდე და გახსნან მისი მკურნალობის საიდუმლო. ან იმაზე, რომ უკვე ამ ხუთწლეულში ჩვენი ქვეყნის რადიოლოგიური ინსტიტუტები ტელეტაიპით გადასცემენ ობნინსკის გამოთვლით ცენტრს ავთვისებიანი სიმსივნის შესახებ ცნობებს, გამომთვლელი მანქანები წამში გადაამუშავებენ ამ ცნობებს და ტელეტაიპი მაშინვე გააგზავნის, დავუშვათ, თბილისში, რეკომენდაციას: როგორ ვუმკურნალოთ ავადმყოფს, დასხივების რა დოზა დავუნიშნოთ... შემეძლო მომეთხრო ბევრ რამეზე, მაგრამ არ მინდა ბოროტად ვისარგებლო მკითხველის მოთმინებით...

• • •

ობნინსკიდან გამომგზავრებამდე, როცა კვლავ შევხვდი გიორგი ზედგენიძეს, საუბარი საქართველოს შეეხო, რომელიც მეცნიერმა კარგა ხნის წინათ დატოვა, მაგრამ რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის გულში. „სადაც არ უნდა ვიყო, რასაც არ უნდა ვაკეთებდე აქ, რუსეთის ცენტრში, საკუთარ ოჯახში მუონია თავი, — მითხრა მეცნიერმა — აქ ჩამოდიან სწავლულები საფრანგეთიდან, ამერიკიდან, ინგლისიდან, ჩამოდიან დახელოვნებისათვის სპეციალისტები სოციალისტური ქვეყნებიდან, როგორც საკუთარ სახლში, ისე გრძნობენ აქ თავს ერევნილი, ტაშკენტელი, კიეველი რენტგენელოგები და რადიოლოგები... ჩემები კი მაინც, ჩემები არიან“...

ლევან როსტიაშვილი

ტაშს უკრავენ ქართულ ოპერას

ამ დღეებში კონსტანტინე სტანისლავსკისა და ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მოსკოვის აკადემიურ მუსიკალურ თეატრში გაიმართა ოთარ თაქთაქიშვილის ოპერის „სამი სიცოცხლის“ პრემიერა.

...თეატრის დიდი დარბაზი ხალხით არის გაჭედილი. სანამ ორკესტრი ემზადება, მოვუსმინოთ ოპერის ავტორს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს ოთარ თაქთაქიშვილს:

— ეს ოპერა სამი უბრალო ადამიანის ცხოვრებაზე მოგვითხრობს რევოლუციამდელ საქართველოში, გვიჩვენებს რევოლუციურ შემართებას, პირველ ძალუმ სუნთქვას, მსმენელსა და მაყურებელს სამ გმირს წარმოუდგენს: ძველი თბილისის მენახშირე ბაჩილას, ახალგაზრდა ჭარისკაც გიორგის, რომელიც მოწუენტეს მშობლიური სოფლის მიწა-წყალს და უპატრონო ჩიკორას. ძირითად სიუჟეტად ოპერას მიზეით ჭავახიშვილის ნოველები და გალაკტიონ ტაბიძის ლექსები დაედო. ნაწარმოების მთავარ თემაა — ადამიანების ლტოლვა თავისუფლებისაკენ, გზა, რომელიც განვლეს მშრომელებმა უუფლებობისა და უჭონლობიდან თავიანთი ადამიანური ღირსებების შეგრძნებისა და ნათელი მომავლის დასამკვიდრებელ ბრძოლამდე. შევეცადე მუსიკით გადმომეცა ხალხური ყოფა-ცხოვრების მთელი სიცხადე. გამოვიყვანე აქამდე თითქმის ხელუხლებელი ჭარისკაცული რევოლუციური ფოლკლორი, ეგრეთწოდებული „ჭიჭური“ სიმღერები. საწმინდისა და მარად უკვდავი სიბრძნის სიმბოლოდ ჩემს ნაწარმოებებში გაისმის ქართული გლეხური სიმღერის — ბალხის ცხოვრების უძველესი ძეგლების ინტონაციები...

...უკანასკნელი მოქმედების შემდეგ ფარდა რომ დაეშვა, დარბაზში დიდხანს არ შეწყვეტილა ტაში. დამსწრენი ალტაცებით მიესალმნენ გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორს ოთარ თაქთაქიშვილს, სპექტაკლის დამდგმელს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს ლ. მიხაილოვს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს, დირიჟორ ვ. აბდულაევს. რესპუბლიკის სახალხო მხატვარს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ი. სუბათაშვილს...

ოპერაში წამყვან პარტიებს ასრულებენ თეატრის საუკეთესო ძალები, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვლადიმერ კანდელაკი, დამსახურებული არტისტები ო. კლენოვი, ვ. კაევჩენკო, ა. მიშევსკი, ა. შატიკოვა და სხვები.

— მხურვალედ ვულოცავ ოთარ თაქთაქიშვილს, შესანიშნავ კომპოზიტორს მისი საუცხოო ნაწარმოების — „სამი სიცოცხლის“ გამარჯვებას, — თქვა სპექტაკლის შემდეგ ცნობილმა საბჭოთა კომპოზიტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა დიმიტრი შოსტაკოვიჩმა. — ეს ნაწარმოები დიდი მიღწევაა არა მარტო კომპოზიტორისა, არამედ მთელი ჩვენი საბჭოთა მუსიკალური კულტურისა.

— ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „სამი სიცოცხლე“ დაწერილია დიდი ოსტატობით და ცხადყოფს მისი ავტორის უზარმაზარ ნიჭიერებას, — განაცხადა პრემიერაზე ცნობილმა კომპოზიტორმა არამ ხაჩატურიანმა.

მოსკოველებმა და დედაქალაქის სტუმრებმა, რომლებიც ესწრებოდნენ პრემიერას, დიდი მადლიერების გრძნობით დატოვეს თეატრი იმ უდიდესი ესთეტიკური სიამოვნებისათვის, რაც მათ მოუტანა ამ შესანიშნავმა ნაწარმოებმა — „სამმა სიცოცხლემ“.

ირაკლი საყვარელიძე

მოკვეთაგანი

ცნობილი რუსი მწერალი, კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე ვიქტორ გოლცევი ერთი პირველთაგანი იყო მათ შორის, ვინც ქართული კულტურისა და ლიტერატურის ისტორიის სისტემატურ ცოდნასთან ერთად ქართველ მოღვაწეთა პოპულარიზაციას ეწეოდა ფართო მასშტაბით.

გამომცემლობა „მერნის“ მიერ გამოქვეყნებულ ვიქტორ გოლცევის კრებულს — „სამი წიგნიდან“ — ბიბლიოგრაფიაც ახლავს, სადაც ჩამოთვლილია ავტორის ქართველოლოგიური 14 წიგნი და ბროშურა, 40 წერილი ჟურნალ-გაზეთებში და მისივე რედაქციით გამოქვეყნებული ქართველ მწერალთა 55 წიგნი.

ამ 110-მდე სახელწოდებათაგან ზოგიერთი ნაშრომი ქართულს, ებრაულსა და სხვა ენებზეც არის თარგმნილი და დასტამბული.

ვიქტორ გოლცევს ბრუსოვის სახელობის უმაღლესი ლიტერატურულ-მხატვრული ინსტიტუტი აქვს დამთავრებული (1923 წელს). იმავე წლიდან იბეჭდებოდა სხვადასხვა პერიოდულ პრესაში, ხოლო 1949 წლიდან გარდაცვალებამდე — 1955 წლამდე რედაქტორობდა ლიტერატურულ ალმანახს, რომელიც შემდეგ ჟურნალ «Дружба народов»-ად იქცა.

ვიქტორ გოლცევი ავტორია ნაშრომებისა ალექსანდრე ბლოკის, ნიკოლოზ ტიხონოვისა და სხვათა შემოქმედების შესახებ. წერილებისა საბჭოთა ხალხების ლიტერატურაზე. მას განსაკუთრებით უყვარდა საქართველო, ქართველი ხალხი და ქართული ლიტერატურა. დიდად აფასებდა ქართველ მწერლებს, რომელთა შესახებ გამოქვეყნებული აქვს წიგნები: რუსთაველი, გალაკტიონ ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი, გიორგი ლეონიძის პოეზია და წერილები, რომლებშიც განხილულია: შავთელის, ქართველი ანაკრეონის (ბესიკი), დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იოსებ გრიშაშვილის, ტიციან ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ალექსანდრე ქუთათელის, გრიგოლ და ირაკლი აბაშიძეების, კარლო კალაძის, კონსტანტინე ლორთქიფანიძისა და სხვათა, მხატყრების — ნიკო ფიროსმანაშვილისა და თამარ აბაკელიას შემოქმედება.

მაგრამ ვიქტორ გოლცევი მთავარ ყურადღებას მაინც ქართული პოეზიის მზეს — შოთა რუსთაველს აქცევდა. მისი ნაშრომები ამ საკითხზე ჩვენთვის იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ ნათლად ვხედავთ, რა დიდ ბუმბერაზად თვლიან რუსთაველს სხვა ეროვნების ადამიანებიც.

ვიქტორ გოლცევმა რუს მკითხველს გააცნო საკითხები: რუსთაველის შესწავლა რუსეთში. რუსთაველის საუკუნე. რუსთაველის ბიოგრაფია, რუსთაველის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებები, ჰუმანიზმი, როგორც რუსთაველის მსოფლმხედველობის საფუძველი, გმირობა, სიყვარული და მეგობრობა რუსთაველის გაგებით, რუსთაველის ხელოვნება და სხვა.

ავტორის მთავარი რუსთველოლოგიური ნაშრომია „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“. იგი წერილებადაც დაიბეჭდა და ცალკე წიგნადაც გამოიცა ხუთგზის თბილისსა და მოსკოვში.

ვიქტორ გოლცევის ერთ-ერთ დაწესახურებად რუსთველოლოგიაში უნდა ჩაითვალოს მის მიერ შედგენილი სპეციალური კრებული «Шота Руставели и его время», რომელშიც გამოქვეყნდა პავლე ინგოროყვას, გერონტი ქიქოძის, ნიკოლოზ ტიხონოვის, კორნელი კეკელიძის, თვით ვიქტორ გოლცევის, მიხეილ ჩიქოვანის, ივანე ლუპოლის, ალექსანდრე ბარამიძის. შალვა ამირანაშვილის და სოლომონ იორდანიშვილის წერილები.

ფასდაუდებელია ის ღვაწლი, რომელიც ვიქტორ გოლცევმა სიმონ ჩიქოვანთან ერთად გასწია „ქართული პოეზიის“ ანთოლოგიის შედგენასა და გამოქვეყნებაზე.

ვიქტორ გოლცევი თბილისს პირველად 1928 წელს ეწვია. მაშინ და შემდეგ თითქმის მთელი საქართველო მოიარა და შესანიშნავი ნარკვევები დაწერა სვანეთის, კახეთის, მესხეთ-ჯავახეთის, ქართლის შესახებ.

ეს შესანიშნავი ადამიანი გულწრფელი იყო ჩვენი ქვეყნისა და ხალხის სიყვარულში. ამიტომ მას საქართველოში მასპინძლობდნენ როგორც მეგობარს. როგორც ქართული კულტურის მოკვეთას. მისი ბინაც მოსკოვში მუდამ კარღია იყო ქართველთათვის და მისგანვე ქართველ მეგობრებს არაერთხელ გაგვიგონია: მოსკოველი რომ არ ეერქვას, თბილისელად ჩავთვლიდი თავსო.

იოსებ მეგრელიძე.
პროფესორი.

რედაქტორი
გივი კარბელაშვილი

ჩვენი მისამართი: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66188

ფასი 5 კაპ.